# საარბიელო

სპორტული გაზეთი   შაბათი 22 იანვარი 2005 №12 (2335)   ფასი 50 თეთრი


## ადამიანი გოლი



გიორგი ადამია კიევის დინამოსაც მოუგო

2



გიორგი ჭელიძე:
**დიდი შანსია, სამარაში წავიდე**

2



**ბაბუა დაბრუნდა**

კენ ბეიტსი ლიდს იუნაიტედის თავმჯდომარედ დაინიშნეს

7

# ყველაფერ პირველს გაუმარჯოს!

# საქართველო — ლიტვა

## მატჩი ისტორიისა და სადღეგრძელოსთვის

# 100

ყველაფერი პირველი განსაკუთრებული რამ არის. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველად 1990 წლის 27 მაისს ითამაშა და მაშინ ჩვენი მეტოქე ლიტვა იყო. 9 თებერვალს კი ჩვენს უმთავრეს გუნდს მეასე მატჩი ელის და კვლავ ლიტვას ვხვდებით. თუ მისტიციზმს თავს გავანებებთ, ისლა უნდა ვთქვათ, რომ ალენ ჟირესმა ბალტიისპირელებისთვის ნახევრადექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმო და მის ასეთ სიაში ოდინდელი ქართველი ვარსკვლავის გიორგი ქინქლაძის ადგილი მაინც არ მოიძებნა. კიდევ ის, რომ ფრანგმა ნაკრებში დებიუტანტებსაც უხმო.



# სად არის ნაცარქექია?!



REUTERS მელბურნიდან

მარატ საფინი მეტოქეებს ბურთივით კენწლავს

გრძელვადიანი პროგნოზი თუ გნებავთ, ყველა მონაცემებით, მელბურნში ქალებშიც და კაცებშიც საინტერესო ბოლოსკენ იქნება. ბობოლები ჩოგნებს მარჯვედ ატრიალებენ და ყარტა-ყურტებს მარჯვნივ და მარცხნივ მუსრავენ. ჰა, აქა-იქ თუ გაიჟღერებს უცნობი სახელები და ესენიც ვერ ჩანან მთლად დევების წამქცევნი. ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი ნიუსი კვიპროსელმა მარკოს ბაღდატისმა გამოაცხო, ვინაც მე-13 ნომრად განთესილი ტომი რობრედო წამოაქცია. მესამე წრეშივე დაეცა 2004 წლის „როლან გაროსის" შემთხვევითი ჩემპიონი გასტონ გაუდიო. სხვა ყველანი კი ერთმანეთის გულის გასახეთქად წინ მიიწევენ და მელბურნის ტრიბუნებსაც დიდი ჯახებისთვის ამზადებენ.

# გიორგი ჭელიძე: დიდი შანსია, სამარაში წავიდე



## ლოკომოტივი მოსკოვშივე გაქრა

*„თბილისის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე შესაძლოა, რუსულ „კრილია სოვეტოვში“ გადავიდეს. არადა, ცოტა ხნის წინ „პაჭელო“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას, თუმც ეს საქმე ჩაიშალა*

**ბუნებრივია,** ისმის კითხვა: რატომ? რა მოხდა? ჩვენც გუშინ თავად ფეხბურთელს ვთხოვეთ პასუხი გაეცა.

„მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე“ ყოფნისას გავიგე, რომ „კრილია სოვეტოვი“ ჩემით დაინტერესდა. „ლოკომოტივის“ ვარიანტი კი ჩაიშალა, მაგრამ რა მოხდა, არ ვიცი. მხოლოდ ის ითქვა, „ლოკომოტივი“ გამოირიცხაო და ეგ არის“ — გვითხრა გიორგიმ.

მოკლედ, ახლა „კრილია სოვეტოვი“ ამოტივტივდა და ჭელიძეც მოლოდინშია.

„ორ დღეში საბოლოო პასუხს მეტყვიან. დიდი შანსია, სამარაში გავემგზავრო და კონტრაქტი გავაფორმო, თუმც წინასწარ რამის თქმა არ მინდა. ამ ორ დღესაც დაველოდები“ — ამბობს გიორგი.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ „კრილიაში“ თითქოს სანდრო იაშვილიც უნდა გადასულიყო, მაგრამ მხარეებმა სატრანსფერო თანხაზე ვერ მოილაპარაკეს.

იქნებ „პაჭელოს“ მაინც გაუმართლოს...

**ქახა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯია დაი-რაზმა



**საქართველოს** ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ 27 იანვარს ანთალიაში ორკვირიან შეკრებაზე წავა, მანამდე კი ჯანი კარნევალი გუნდს „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ავარჯიშებს.

ამასობაში ვიტელთა შორის ახალი სახე გამოჩნდა — გორის „დილას“ 20 წლის ნახევარმცველი ლუკა რაზმაძე, რომელსაც თითქოს რუსულ „კამაზში“ გადასვლის ვარიანტიც ჰქონდა. როგორც „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ გვითხრა, კლუბმა რაზმაძესთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

და კიდევ, ვეტერინარებს დაუბრუნდათ მცველი ალექსანდრე ინწკირველი, რომელიც აზერბაიჯანულ „ბაკიში“ აპირებდა გადასვლას. დარჩება თუ არა ინწკირველი „ვიტ ჯორჯიაში“, ჯერჯერობით უცნობია.

**ილია ნანობაშვილი**

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVIII ტური

ბაიერნი 3:0 ჰამბურგი

### იტალია

სერია B. XXII ტური

ჯენოა 0:0 მოდენა

### ჰოლანდია

I. დივიზიონი. XVIII ტური

ალკმაარი 1:1 ნაიმეგენი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური

ბრაგა : აკადემიკა

*გვიან ღამით დამთავრდა*

### ინგლისი

პირველი ლიგა. XXIX ტური

შეფილდ უნაიტი 1:0 პორტ ვეილი

### საფრანგეთი

II. დივიზიონი. XXII ტური

შატორუ 2:0 გენგამი

დიჟონი 0:0 ლორიანი

გენიონი 1:1 რეიმსი

ლავალი 1:2 ლე მანი

ლე ავრი 1:1 კრეტეი

სედანი 0:0 ნიორი

ტრუა 4:1 ანჟე

ბრესტი 1 : 1 ამიენი

# ადამიანი გოლი



## გიორგი ადამიამ კიევის დინამოსაც მოუგო

### თანამეგობრობის თასი 2005
### მოსკოვი. 15-23 იანვარი

**ნახევარფინალი**

**დინამო 1:2 ნეფთჩი**

0:1 ადამია (8), 1:1 დოპილკა (50), 1:2 ადამია (68)

**ლოკომოტივი 2:0 კაუნასი**

1:0 ასათიანი (55), 2:0 სიჩოვი (72)

**გიორგი ადამია** „ნეფთჩიში“ ხეირიანად ჯერ არც გადასულა და უკვე ისეთ საქმეებს აკეთებს, აზერბაიჯანელებს სულ „ჩოხ საღოლს“ აძახებინებს. აბა, ადამიას გარეშე ბაქოელებს „თანამეგობრობის თასის“ ფინალში გასვლა დაესიზმრებოდათ მაინც? ყოფილი ვიტჯორჯიელი ფორვარდი ვერც კიევის „დინამოს“ დუბლშემადგენლობამ გააჩერა, რომელთა შორისაც მთელი მატჩის განმავლობაში ალეკო ამისულაშვილიც გახლდათ.

ადამიამ პირველივე წუთებში მიაფინტავა კიეველი მცველები და მოხდენილი დარტყმით გახსნა ანგარიში. გიორგის მეორედ გატანაც მალევე შეეძლო, თუმც, როგორც უკრაინული ვებ-გვერდი იუწყება, ამისულაშვილის მეფური საჩუქარი ვერ შეურგია და „დინამოს“ მეკარე მუსინთან პირისპირ გასულს კარში ხეირიანად ველარ დაურტყამს.

კიეველებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე დოპილკას გოლით გაათანაბრეს, მაგრამ ადამიამ მაინც არ მოისვენა, მეტოქის მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და 2:1.

გიორგის ამის შემდეგაც წნეხში ჰყავდა უკრაინელები და ერთხელ თავისი ნახევრიდან დაწყებული დრიბლინგი მეტოქის კართან დაასრულა, სადაც მუსინმა ფეხებში ვარდნით აართვა ბურთი.

და კიდევ, მსაჯ ლევან ფანიაშვილის მიერ დამატებულ წუთებზე ადამია შეცვალეს. თანაგუნდელებმაც კოცნითა და მხრებზე ხელების ტყაპუნით გააცილეს მინდვრიდან.

შეგახსენებთ, რომ „თანამეგობრობის თასზე“ ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში გიორგიმ უკვე ექვსი გოლი დააგროვა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია.

ქართული გოლი მეორე ნახევარფინალურ წყვილშიც გავიდა. „ლოკომოტივმა“ 2:0 მოუგო ვალდას ივანაუსკასის „კაუნასს“ და პირველი გოლი მალხაზ ასათიანმა გაიტანა. მალხაზმა სრულად ითამაშა, ხოლო „ლოკოს“ ქართველი ახალწვეული მათე ღვინიანიძე 82-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

**ილია ნანობაშვილი**



მათე ღვინიანიძე



„კაუნასს“ პირველმა მალხაზ ასათიანმა (№30) გაუტანა

# ბერძნებმა სტადიონები დაგვიზვერეს



**მოგეხსენებათ,** საქართველოს ნაკრებს უახლოესი შესარჩევი მატჩი 26 მარტს თბილისში ელის საბერძნეთთან.

ევროპის ჩემპიონებმა უკვე დაიჭირეს თადარიგი და ოტო რეჰაგელის ასისტენტი იოანის ტოპალიდისი და ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი სტელიოს აპოსპოლისი თბილისში სტადიონების შესამოწმებლად ჩამოვიდნენ.

მარტამდე ჯერ დიდი დროა და, ცხადია, ბერძნები მოგვიანებით გააკეთებენ არჩევანს, თუ სად და როდის ივარჯიშებენ თამაშის წინა დღეებში.

**ილია ნანობაშვილი**



# ორი დებიუტანტი და უარი ბენრეპეტიციას

*9 თებერვალს თბილისში ორი მატჩია — 15 საათზე ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლიტველ თანატოლებს დაუხვდება, ხოლო 19 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩვენი ეროვნული გუნდი უმასპინძლებს ბალტიისპირელებს. ორივე მატჩი ამხანაგურია, ეროვნულ ნაკრებთა თამაშის ბილეთი რაგინდარა სექტორზე 5 ლარი ეღირება*

**საქართველოს** ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები ახლა საფრანგეთში, ტულუზში არიან და თბილისში 24 ან 25 იანვარს ჩამოვლენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი უპირველესი გუნდის დამრიგებელმა ალენ ჟირესმა უკვე დაადგინა სალიტვო შემადგენლობა:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი), აკაკი დევაძე (თბილისი);*

***მცველები:*** *კახა მკავაძე (ანჟი), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო, კიევი, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი (ორივე დინამო), გივი კვარაცხელია (თბილისი), ლევან მაღრაძე (ქსანთი, საბერძნეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან კორღალიძე (ორივე სკონტო, ლატვია), დავით კვირკველია (დინამო), გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ლადო ბურდული, ალექსანდრე გოგობერიშვილი (ორივე უგუნდო), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (თბილისი);*

***თავდამსხმელები:*** *გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ვასილ გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), მიხეილ აშვეთია (ლოკომოტივი, რუსეთი).*

მოლოდინისამებრ, ჟირესმა, ცოტა არ იყოს, ექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმო, მაგრამ ისიცაა, რომ 9 თებერვლიდან თითქმის თვენახევარში, 26 და 30 მარტს ნაკრებს შესარჩევი ციკლის თამაშები ელის საბერძნეთთან და თურქეთთან. ჟირესმა ეგრეთ წოდებულ გენერალურ რეპეტიციაზე, ფაქტობრივად, უარი თქვა და სალიტვოდ გუნდის რამდენიმე წამყვანი ლეგიონერი არ გამოიძახა — ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი და შოთა არველაძე. ერთი სიტყვით, ჟირესმა საკამათო და სარისკო გადაწყვეტილება მიიღო, რასაც საფუძვლად ის უბრალო მიზეზი უდევს, რომ მთელი რიგი ფეხბურთელების გამოცდა სურს.

მეკარეებში სიახლე არ არის, თუმც 25 წლის გიორგი ლომაიას საქმეში ხილვა ერთობ საინტერესოა — მიმდინარე შესარჩევ ციკლში მას ჯერ არ უთამაშია.

ცნობისმოყვარეობას ალბათ ალეკო ამისულაშვილის ნახვითაც დავიკმაყოფილებთ, ვინც ჯერ კიევის „დინამოს“ პირველ გუნდში ვერ ხვდება, ეროვნულ ნაკრებში კი შვიდჯერ უთამაშია. ამისულაშვილის დარად, ჟირესმა მის მიერ გაწვრთნილ ნაკრებში პირველად უხმო ლევან მაღრაძეს, ვისი „ქსანთიც“ საბერძნეთის ეროვნულ ლიგაში მეოთხე ადგილზეა. მაღრაძე სტაბილურად თამაშობს „ქსანთიში“. ლევანი 27 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში დებიუტანტი არ გეგონოთ — შარშანდელ კვიპროსის ოთხთა ტურნირზე ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, „ქსანთიმდე“ კი კვიპროსულ აელ-ში გამოდიოდა.

დაგვეთანხმებით, ძალიან საინტერესო ფეხბურთელია გოგა გახოკიძე და ძალიან საინტერესო იქნება მისი თამაში ლიტვასთან. 27 წლის გახოკიძე ის მოთამაშეა, რომლის სუნთქვას ზურგსუკან მალე იგრძნობენ ნაკრებში დამკვიდრებული ცაციები — ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი.

ჟირესმა ამ ეტაპზე უარი თქვა 31 წლის გიორგი ქინქლაძეზე. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მუსიე ალენმა თქვა, დღეს კლასიკური ათი ნომრებით აღარ თამაშობენო და, ვინძლო, ამის გამოც არ გამოიძახა ქინქლაძე, მაგრამ ჟირესს ფაქტობრივად იმავე ამპლუის 32 წლის გოჩა ჯამარაული განსაკუთრებულად რომ მოსწონდა, ესეც ფაქტია.

სალიტვო სიაში ვერც დავით სირაძეს ამოიკითხავთ, ვინც ჟირესმა ორჯერ უკვე მიიწვია ნაკრებში — შარშან გერმანიის ახალგაზრდულ და ისრაელის ეროვნულ ნაკრებებთან ამხანაგურ მატჩებში. სირაძეს ახლა კოჭის ტრავმა აწუხებს და 9 თებერვლისთვის ალბათ ჯანზეც იქნება, თუმც...

ჟირესის ნაკრებში გამოძახებული კი ყოფილა, მაგრამ არ უთამაშია 27 წლის ალეკო გოგობერიშვილს — ლიტვასთან მას ალბათ მიეცემა შანსი. გოგობერიშვილს ნაკრებში აქამდე სულ ოთხჯერ უთამაშია.

ეროვნული გუნდის მაისურა ჯერაც არ მოურგია 21 წლის გოგიტა გოგუას. სპეციალისტები მას ყველაზე ძლიერ ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველად მიიჩნევენ საქართველოში. გოგუას რამდენიმე ევროპული გუნდიც აკვირდება და მისი უცხოური ტრანსფერი ოდენ დროის ამბავი თუა. ჟირესმა გოგუა პირველად შარშან მიიწვია გუნდში, მაგრამ ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და ნაკრებს მოლდოვაში ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ვეღარ გაჰყვა.

გოგუას დარად ლიტვასთან სანაკრებო დებიუტი ელის ვასილ გიგიაძესაც. ის 27 წლისაა და „ტავრიამდე“ ელისტის „ურალანში“, თბილისის „დინამოში“, „სამტრედიაში“ და ქუთაისის „ტორპედოში“ უთამაშია. სხვათა შორის, „დინამოში“ გიგიაძე იოჰან ბოსკამპმა მიიყვანა. უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში კი გიგიაძემ 7 გოლი გაიტანა და ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს: გოჩა ტყებუჩავამ სალიტვო შემადგენლობა საფრანგეთიდან კი გამოამზეურა, მაგრამ თბილისში დაბრუნების შემდეგ შესაძლოა, შეცვალოს.

***მეკარეები:*** *ბექა შეყრილაძე (თბილისი), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო),*

***მცველები:*** *გიორგი ციმაკურიძე (სტალი, უკრაინა), ანზორ კალაძე, ზაალ ელიავა (ორივე თბილისი), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), ლაშა ჭელიძე (დინამო), დავით ჭილლაძე (სუდუვა, ლიტვა), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *მამუკა ლომიძე (როსტოვი, რუსეთი), ვალერი კაციტაძე (ვილნიუსი, ლიტვა), ჯაბა კანკავა, შოთა გრიგალაშვილი (ორივე დინამო), გოჩა ხოჯავა (თბილისი);*

***თავდამსხმელები:*** *ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე (თბილისი), ირაკლი ებანოიძე (ვიტ ჯორჯია).*

**დავით თავართქილაძე**



გოგიტა გოგუას ჟირესმა ისევ უხმო



ლევან მაღრაძეს ბერძნული სტაბილურობა დაუფასდა



# მერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები

## აშვეთია ფეხზე დადგა და ნაკრებში ჩაჯდა

*გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებს მიხეილ აშვეთია უბრუნდება. მოსკოვის „ლოკომოტივის“ 26 წლის ქართველი თავდამსხმელი მძიმე ტრავმისგან საბოლოოდ განიკურნა და გუნდს ესპანურ შეკრებაზეც მიჰყვება. მიხოს გუშინ დავურეკეთ მოსკოვში და ჯანმრთელობის ამბები ერთხელაც გამოვკითხეთ...*

— უკვე კარგად ვარ, „ლოკომოტივთან“ ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და ფეხიც აღარ მაწუხებს. შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი.

**— მოკლედ, 9 თებერვალს ლიტვასთან სათამაშოდ ნაკრებში მოდიხარ...**

— აუცილებლად. ნაკრებში დიდი ხანია, არ მითამაშია და ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები.

**— ფორმის აღდგენას მოასწრებ?**

— ძველებურ ფორმაში ალბათ ვერ ვიქნები, მაგრამ ვფიქრობ, შესარჩევი ეტაპის განახლებამდე ამასაც მოევლება. საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებს მზად უნდა შევხვდე.

**— ელოდი, რომ ალენ ჟირესი გამოგიძახებდა? მით უმეტეს, დიდი ხანია, არ გითამაშია...**

— ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. ჟირესისთვის მთლად უცხოც არ ვარ და ეტყობა, ასე ჩათვალა საჭიროდ.

**ბახა ზალამბერიძე**

გერმანია — ვაჟა ხუციშვილი

# მუსიკოსებმა ნოტები აურიეს

## შააფს თხუთმეტი ადარდებს

**ბუნდესლიგის** მეორე წრე გუშინ „ბაიერნი" — „ჰამბურგის" შეხვედრით დაიწყო, ტურის დარჩენილ მატჩთაგან კი „შალკე" — „ვერდერი" სხვებზე მეტად საინტერესოა.

ბრემენულ გუნდში ამ თვეში არასასიამოვნო ამბები ხდებოდა. ამხანაგურ თამაშებში „მუსიკოსები" ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ, ავტობუსში კი იოან მიკუმ და ფაბიან ერნსტმა იჩხუბეს. მუშტი-კრივის შემდეგად ერნსტს წარბი გაუსკდა და რვა ნაკერი დაადეს. ოთხ საკონტროლო შეხვედრაში თომას შააფის შეგირდებმა თხუთმეტი გოლი გაუშვეს, მათ შორის ხუთი თურქულ „ტრაბზონსპორთან". მწვრთნელმა თქვა კიდეც, რომ ბუნდესლიდერებში გასარევად უპირველესად დაცვაში თამაში უნდა მოვაწესრიგოთო.



თომას შააფი „ვერდერს" ტაშს ჯერ ვერ დაუკრავს

გელზენკირხენის „შალკეში" კი სიმშვიდეა. რალფ რანგნიკს წარბგაკვრილი ფეხბურთელები არ ჰყავს, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები ჯანზე არიან. მხოლოდ მარსელო ბორდონსა და ლინკოლნს გაუცდათ მოსამზადებელი პერიოდის ნახევარი, მაგრამ ტრავმამოშუშებულნი სავარაუდოდ, დღეს მოედანზე გავლენ.

ჯერჯერობით უფრეო „ვოლფსბურგი" დაძაბუნებულ დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს. მასპინძელთა ბელგიელი მწვრთნელი ერიკ გერეტსი ზამთრის შესვენებისას გუნდის მომზადებით კმაყოფილია. მას განსაკუთრებით ანდრეს დალესანდროს გამოჯანმრთელება ახარებს. ბულგარელი ფორვარდი მარიან ხრისტოვი დაშავებულია და შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ვერც მომჯობინდეს.

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბოლო სამ გასვლით მატჩში ვერ ქულა აიღო და ვერც გოლი გაიტანა. ბერტ ვან მარვიიკს ახლა მთავარმეგოლე ევერტონი ჰყავს ტრავმირებული და ცხადზე უცხადესია, რომ შეტევაში მის გუნდს ძალიან გაუჭირდება.

ცხრილის ფსკერზე მოყელყელავე „ფრაიბურგი" მეზობელ „ჰანზას" ეწვევა. ფოლკერ ფინკეს კლუბის პრეზიდენტი ენდო და პოსტზე დატოვა. მწვრთნელს ნდობის გამართლება მოუწევს, საამისოდ კი „ფრაიმ" ქულების აკრეფვა აქედანვე თუ არ დაიწყო, მაისში ვინძლო გვიანიც იყოს.

ბერლინის „ჰერტამ" პირველი წრე მიჯრით წაუგებელი ექვსი მატჩით დაასრულა და ხვალ ბოხუმს ესტუმრება. „ჰერტას" იანვარში არავინ შეუძენია, რადგან დაცვაში კარგად თამაშობს, შეტევაში კი მადაგახსნილი მარსელინიო ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ბერლინელებმა ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა (15) გოლი გაუშვეს. რაც შეეხება „ბოხუმს", შარშანდელი „კერკეტი კაკალი" წლეულს ძალიან დასუსტდა და ქვედა ლიგაში გადასვლის კანდიდატია.

ცხრილის ზევით დამეზობლებულმა „ჰანოვერმა" და „ლევერკუზენმა" კი პირველი წრე არცთუ ურიგოდ გალიეს. ჰანოვერელთა კარგ თამაშში მეკარე რობერტ ენკეს ხელი ერია, რომელიც ახლა ტრავმირებულია და შესაძლოა, ხვალ გუნდს ვერ დაეხმაროს.

**XVIII ტური**

**გუშინ**

ბაიერნი : ჰამბურგი

*წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**დღეს**

ნიურნბერგი : ლაუტერნი
ჰანზა : ფრაიბურგი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
გლადბახი : არმინია
მაინცი : შტუტგარტი
შალკე : ვერდერი

**ხვალ**

ჰანოვერი : ლევერკუზენი
ბოხუმი : ჰერტა

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 17 | 10 | 4 | 3 | 33:20 | 34 |
| შალკე | 17 | 11 | 1 | 5 | 26;21 | 34 |
| შტუტგარტი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:19 | 31 |
| ვოლფსბურგი | 17 | 10 | 0 | 7 | 32:26 | 30 |
| ვერდერი | 17 | 8 | 4 | 5 | 36:19 | 28 |
| ჰერტა | 17 | 7 | 7 | 3 | 28:15 | 28 |
| ჰანოვერი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:16 | 28 |
| ლევერკუზენი | 17 | 7 | 5 | 5 | 28:25 | 26 |
| ჰამბურგი | 17 | 8 | 1 | 8 | 30:25 | 25 |
| არმინია | 17 | 7 | 3 | 7 | 19:23 | 24 |
| მაინცი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:27 | 22 |
| ნიურნბერგი | 17 | 5 | 6 | 6 | 28:26 | 21 |
| ლაუტერნი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:26 | 21 |
| დორტმუნდი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:22 | 18 |
| გლადბახი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:30 | 17 |
| ბოხუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 23:35 | 14 |
| ჰანზა | 17 | 2 | 5 | 10 | 13:36 | 11 |
| ფრაიბურგი | 17 | 2 | 5 | 10 | 14:38 | 11 |

# დასვენებამ ვის რა არგო?

## მოდი, ვნახოთ მახო

*ზამთრის შესვენებისას გერმანული კლუბები სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ აქტიურობდნენ, მაგრამ ეს გასაგებიცაა, რადგან საამისოდ ზაფხულის ბაზარი არსებობს. ბუნდესგუნდები ფულის ფლანგვით არასდროს გამოირჩეოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება სარფიანად მოეკვარახჭინებინათ ტრანსფერი. უფრო იოლი და იაფია ფეხბურთელის იჯარით წაყვანა ან ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშის გადაბირება მანამ, სანამ გაძვირდება*



იურგენ მახო „კაიზერსლაუტერნის" კარში ჩადგება

**სწორედ** ასე მოიქცა გელზენკირხენის „შალკე", რომელმაც „მაინციდან" 22 წლის მიმუნ აზაუაგი გადაიბირა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

დორტმუნდის „ბორუსიამ" როტერდამის „ფეიენოორდიდან" იგორ შმოლარეკი ინათხოვრა და ამგვარად იგი თავის მწვრთნელყოფილ ბერტ ვან მარვიიკთან აღმოჩნდა. პოლონელი ფეხბურთელი სავარაუდოდ, ტრავმირებულ ბრაზილიელ ევერტონს შეცვლის, რომელიც ორი თვით გამოაკლდა გუნდს.

ამ ორ კლუბთან შედარებით ბრემენის „ვერდერის" შენაძენი საკმაოდ მოკრძალებულია — უცნობი ეგვიპტელი მოჰამედ ზიდანი. მოჰამედი, ცხადია, მოგვარე ზიზუსავით ძლიერი არაა, მაგრამ თომას შააფი მისით მაინც მოხიბლულა. შააფმა ზიდანი შორეულ დანიაში აღმოაჩინა და იქაურ „მიდტიულანდს" წაჰგვარა. სამწუხაროდ, ეგვიპტელი ვარჯიშზე დაშავდა და ქომაგებს მის საქმეში სანახავად მოცდა მოუწევთ. ზიდანი ხომ გადაიყვანეს, სამაგიეროდ „მუსიკოსები" ევროპის ჩემპიონ ანგელოს ხარისტიასს შეელივნენ, ამსტერდამის „აიაქსში" გაშვებულმა და გაბრაზებულმა ბერძენმა შააფს შეუთვალა, ინანებო.

ყველაზე მეტი ფეხბურთელი მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" დაიმატა. ამ გუნდის მწვრთნელი შემოდგომიდან ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი გახლავთ. მას „ბორუსიასთვის" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება დაავალეს. საამისოდ შემადგენლობის გაძლიერება აუცილებელი იყო და გლადბახელებმაც ექვსი ძალიან კარგი მოთამაშე გადაიბირეს: „გლაზგო რეინჯერსის" ყოფილი კაპიტანი, 29 წლის კრეიგ მური, ამერიკელი მეკარე კეისი კელერი, „შალკედან" გაშვებული იორგ ბიომე და სამი ბელგიელი — უესლი სონკი, ბერნდ ტიისი და ფრანკ დაემსი.

სანამ ორიოდ სიტყვით ბუნდესლიგიდან წასულებზეც ვიტყვით, ბარემ „ფრაიბურგის" სატრანსფერო ამბებზეც ვთქვათ. ფოლკერ ფინკემ სამი ახალი ფეხბურთელი დაიმატა — ქართველი ოთარ ხიზანეიშვილი, ავსტრიელი ნახევარმცველი ანდრეას იბერცბერგერი და თავდამსხმელი სამუელ კუჯუ ინსბრუკის „ტიროლიდან".

„ჰამბურგის" არგენტინელი ფორვარდი ბერნარდო რომეო ესპანურ „მალიორკაში" გადავიდა, „ჰანოვერის" ამერიკელი კლინტ მატისი „მეიჯორ სოკერ ლიგაში" დაბრუნდა, ხოლო ფრაიბურგელი ტობიას ვილი კი ავსტრიულ „ზალცბურგში" გადაბარგდა.

ლევერკუზენის „ბაიერიდან" ჰანო ბალიტჩი („მაინცში") და რადოსლავ კალუჟნი („ესენში") წავიდნენ. ვერდერელმა პეკა ლაგერბლომმა „ნიურნბერგს" მიაშურა, კრისტიან რანმა „ჰამბურგიდან" „კიოლნში" წასვლა ინება, ხოლო პიოტრ ტროხოვსკი „ბაიერნიდან" „ჰამბურგში" გადავიდა.

„კაიზერსლაუტერნმა" ვენის „რაპიდისგან" მეკარე იურგენ მახო შეიძინა. მახომ მაშინ გაითქვა სახელი, როცა „სანდერლენდში" იყო და მისი საუცხოო თამაშის მიუხედავად, ეს გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. მან ისე მოხიბლა „ჩელსის" მესვეურები, რომ სანდერლენდიდან ლონდონურ კლუბშიც აღმოჩნდა, მაგრამ კარლო კუდიჩინის ჩრდილში მოექცა და „რაპიდს" მიაშურა. ახლა „ლაუტერნში" იურგენ მახოს კონკურენტები 23 წლის ტიმო ვიზე და 37 წლის თომას ერნსტი იქნებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**





გამოცდილი კეისი კელერი „მიონხენგლადბახს" შეეკედლა

# იტალია

ვაჟა ხევიაშვილი





## დონადონი VS ანჩელოტი
# ძველმილანური ამბავი

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლონია | : | კალიარი |
| ინტერი | : | კიევო |
| **ხვალ** | | |
| ლეჩე | : | ატალანტა |
| იუვენტუსი | : | ბრეშა |
| ლივორნო | : | მილანი |
| სიენა | : | პალერმო |
| მესინა | : | პარმა |
| უდინეზე | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | რომა |
| ლაციო | : | სამპდორია |

| სადღეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 19 | 13 | 5 | 1 | 34:11 | 44 |
| მილანი | 19 | 12 | 6 | 1 | 35:12 | 42 |
| უდინეზე | 19 | 10 | 4 | 5 | 28:18 | 34 |
| ინტერი | 19 | 6 | 13 | 0 | 38:26 | 31 |
| პალერმო | 19 | 7 | 7 | 5 | 19:13 | 28 |
| სამპდორია | 19 | 8 | 4 | 7 | 19:15 | 28 |
| რომა | 19 | 7 | 6 | 6 | 35:29 | 27 |
| კალიარი | 19 | 7 | 5 | 7 | 27:32 | 26 |
| რეჯინა | 19 | 6 | 6 | 7 | 16:20 | 24 |
| მესინა | 19 | 6 | 6 | 7 | 23:29 | 24 |
| ლაციო | 19 | 6 | 5 | 8 | 26:29 | 23 |
| ფიორენტინა | 19 | 5 | 8 | 6 | 19:22 | 23 |
| ლივორნო | 19 | 6 | 5 | 8 | 23:27 | 23 |
| ლეჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 35:38 | 22 |
| ბოლონია | 19 | 5 | 6 | 8 | 19:20 | 21 |
| კიევო | 19 | 5 | 6 | 8 | 18:28 | 21 |
| ბრეშა | 19 | 5 | 4 | 10 | 15:25 | 19 |
| პარმა | 19 | 4 | 7 | 8 | 20:31 | 19 |
| სიენა | 19 | 3 | 8 | 8 | 15:27 | 17 |
| ატალანტა | 19 | 1 | 8 | 10 | 14:26 | 11 |

**„ფიორენტინა“**, რომელმაც ბოლო სამ ტურში მხოლოდ ქულა აიღო, „რომასთან“ საომრად ემზადება. მასპინძლებს ტრავმამოშუშებული ფორვარდი კრისტიან რიგანო, ასევე სასჯელმოხდილი ენცო მარესკა და უილიამ ვიალი უბრუნდებიან. ფლორენციული გუნდის მწვრთნელ სერჯო ბუზოს უკვე წყალი შეუდგა, ტიფოზებს კი იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა თვალში არ მოსდით, უგულოდ ირჯებაო.

რომაელებმა გასულ ტურში „კიევოსთან“ მატჩი ვინჩენცო მონტელას დუბლით გადაარჩინეს. სერია A-ს მთავარმევოლე ხვალაც ძირითადში იქნება ტოტისთან და კასანოსთან ერთად. სიმონე პეროტა კვლავაც ტრავმირებულია, ოლივიე დაკური კი გამოკეთდა, მაგრამ საეჭვოა, „ფიორენტინასთან“ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს.

ათი დღის წინ დანიშნული მწვრთნელის, რობერტო დონადონის ხელქვეით „ლივორნომ“ პირველ მატჩი „მესინას“ მოუგო, ხვალ კი ძველი მილანელების, დონადონისა და ანჩელოტის გუნდები დაეჯახებიან ერთმანეთს. პირველ წრეში „ლივორნომ“ „სან სიროდან“ ქულა წაიღო (2:2) და, ცხადია, ამჯერადაც ბრძოლას აპირებს. „მილანის“ ნახევარმცველი ანდრეა პირლო დისკვალიფიცირებულია, მას მასიმო ამბროზინი შეცვლის.

ლიდერ „იუვენტუსს“ ჩემპიონი „მილანი“ უკვე კუდზე აბიჯებს ფეხს და ფაბიო კაპელოს შეგირდებს „ბრეშასთან“ უცილობელი მოგება მართებთ. ალესიო ტაკინარდისა და ალესანდრო ბირინდელის თამაში საეჭვოა, „ბრეშას“ კი ტრეზეგე-იბრაჰიმოვიჩის წყვილი შეუტევს. ალესანდრო დელ პიერო კვლავაც თადარიგში იქნება.

ფრეების ოსტატი და ჯერჯერობით დაუმარცხებელი „ინტერი“ დღეს საღამოს „კიევოს“ ადრიანოს გარეშე დაუხვდება — ბრაზილიელი ტრავმირებულია. რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში კრისტიან ვიერი და ობაფემი მარტინსი ითამაშებენ. მცველი სინიშა მიხაილოვიჩი კვლავ დაშავებულია, ორთვიანი მკურნალობის შემდეგ კი ხუან სებასტიან ვერონი მომჯობინდა და ეგებ ძირითად თერთმეტეულშიც გამოჩნდეს.

„კიევოს“ ფორვარდ ფედერიკო კოსატოს მუხლი სტკივა, მატეო ბრიგი, დავიდე ფრანჩესკინი და რობერტო ამაური კი დისკვალიფიცირებულნი არიან.

„ლაციოს“ ახალმა მწვრთნელმა ჯუზეპე პაპადოპულომ პირველი მარცხი წინა ტურში, „ოლიმპიკოზე“ „პალერმოსთან“ იგემა, ამჯერად კი იმავე სარბიელზე „სამპდორიას“ მიიღებს. რომაელებს ანჯელო პერუცი, ანტონ სერიჩი და რობერტო მუცი დააკლდებათ, სამაგიეროდ, ეგებ პაოლო დი კანიო დაბრუნდეს, რომელმაც „პალერმოსთან“ შეხვედრა უცნობ მიზეზთა გამო გამოტოვა.

„სიენასთან“ მატჩში „პალერმოს“ მთავარმევოლე ლუკა ტონი არ ეყოლება, ხოლო „ლეჩე“ — რომელსაც ოთხი ტურია, არ მოუგია — ვალერი ბოჟინოვით და მირკო ვუჩინიჩით შეუტევს დაბეჩავებულ „ატალანტას“. ბერგამოელები ჯერჯერობით ერთადერთნი არიან სერია A-ში, სტუმრად გამარჯვების სიხარული რომ არ დაუგემოვნებიათ.

# ინგლისი

ირაკლი [illegible]

# ეგრე ნუ მოიქცევი, ჟოზე
## მაურინიუს თავში ლიდერობა აუვარდა

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | : | სიტი |
| ბირმინგემი | : | ფულემი |
| ჩელსი | : | პორტსმუთი |
| კრ. პალასი | : | ტოტენჰემი |
| ევერტონი | : | ჩარლტონი |
| მანჩესტერი | : | ასტონ ვილა |
| ნორვიჩი | : | მიდლსბრო |
| საუთჰემპტონი | : | ლივერპული |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | : | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| ბლექბერნი | : | ბოლტონი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 23 | 18 | 4 | 1 | 45:8 | 58 |
| არსენალი | 23 | 14 | 6 | 3 | 52:25 | 48 |
| მანჩესტერი | 23 | 13 | 8 | 2 | 34:13 | 47 |
| ევერტონი | 23 | 13 | 5 | 5 | 28:24 | 44 |
| ლივერპული | 23 | 11 | 4 | 8 | 36:23 | 37 |
| მიდლსბრო | 23 | 10 | 6 | 7 | 35:29 | 36 |
| ჩარლტონი | 23 | 10 | 4 | 9 | 27:33 | 34 |
| ტოტენჰემი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:23 | 33 |
| სიტი | 23 | 8 | 7 | 8 | 30:24 | 31 |
| ასტონ ვილა | 23 | 8 | 7 | 8 | 26:26 | 31 |
| ბოლტონი | 23 | 8 | 6 | 9 | 30:31 | 30 |
| ნიუკასლი | 23 | 7 | 8 | 8 | 35:40 | 29 |
| პორტსმუთი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:31 | 27 |
| ბირმინგემი | 23 | 6 | 8 | 9 | 26:28 | 26 |
| ფულემი | 23 | 7 | 4 | 12 | 29:39 | 25 |
| ბლექბერნი | 23 | 5 | 10 | 8 | 21:33 | 25 |
| კრ. პალასი | 23 | 4 | 6 | 13 | 24:37 | 18 |
| ნორვიჩი | 23 | 2 | 10 | 11 | 19:42 | 16 |
| საუთჰემპტონი | 23 | 2 | 9 | 12 | 23:39 | 15 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 1 | 10 | 12 | 17:44 | 13 |

**„ჩელსის“** ლიდერობას არანაირი საფრთხე რომ არ ემუქრება, ცხრილიდანაც ჩანს. ისიც საფიქრებელია, რომ ამ ტურში მდევრებს ლიდერთან ჩამორჩენის შემცირების შანსიც ფაქტობრივად არ გააჩნიათ. „ჩელსი“ „პორტსმუთს მასპინძლობს და აბა, როგორ უნდა წააგოს. თუმცა აქ ერთი საფრთხე არსებობს — ჟოზე მაურინიუ რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დასვენებას უპირებს, რაც ნიშნავს, რომ მეტოქეს მთლად სერიოზულად არ ეკიდება. ამგვარი მიდგომა კი ხშირად ცუდად მთავრდება-ხოლმე.

ისედაც სუსტ „პორტსმუთს“ კი ლომანა ლუა ლუა არ ეყოლება, ვინაც სამი მატჩით არის დისკვალიფიცირებული.

„არსენალი“ „ნიუკასლს“ მასპინძლობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, „მეთოფეები“ უხალისოდ გავლენ სათამაოდ — წინა ტურში „ბოლტონთან“ დამარცხების მერე, ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსი შერჩათ.

„ნიუკასლი“ ბოლო სამ მატჩში დაუმარცხებელია, იქამდე კი, 29 დეკემბერს, შინ სწორედ „არსენალთან“ დამარცხდა, მაგრამ „კაჭკაჭებს“ მაშინ ალან შირერი არ ჰყავდათ, ახლა კი ითამაშებს. ისიც გავიხსენოთ, რომ შირერმა წინა ტურში კარიერაში მე-400 გოლი გაიტანა.

„მანჩესტერი“, რომელიც მესამე ადგილზე რჩება, მაგრამ „არსენალს“ წამოეწია, „ასტონ ვილას“ უმასპინძლებს. შუა კვირაში, „ექსეტერთან“ სათასო გადათამაშებაში, ფერგიუსონმა როი კინი, რიო ფერდინანდი და გაბრიელ ჰაინცე დაასვენა, ისინი საამატჩოდ შემოინახა. დავძინოთ, რომ მანჩესტერელებს უკვე რვა თამაშია, გოლი არ გაუშვიათ.

„ვილამ“ წინა ტურში „ნორვიჩი“ კი დაამარცხა, მაგრამ იქამდე შვიდი მატჩიდან ექვსი წააგო. „ოლდ ტრეფორდზე“ კი ბირმინგემელებს 1983 წლის მერე არ მოუგიათ.

დიდი ბრძოლა უნდა გამართონ „ევერტონმა“ და „ჩარლტონმა“, რაკილა ორივე გუნდი ევროთასზე გასვლას უმიზნებს.

ამათი პირველი წრის მატჩი, რომელშიც გამარჯვება „ჩარლტონს“ დარჩა, მიმომხილველთა თქმით უცუდესი იყო „ევერტონისთვის“ ამ სეზონში და ახლა, საკუთარი ქომაგის თვალწინ ლონდონელები უკეთესი თამაშის ჩვენებას ეცდებიან. ისე, საინტერესო ფაქტია: „ევერტონი“ ამ სეზონში ხუთჯერ დამარცხდა და ხუთივეჯერ ლონდონურ გუნდებთან.

მეორე ლივერპულული გუნდი კი საუთჰემპტონში ჩადის. ამასწინათ, „ლივერპულს“ კრიტიკის ქარიშხალი დაატყდა, თასზე მეორელიგელ „ბარნლისთან“ სარეზერვო გუნდის გაყვანის გამო, ახლა კი რაფაელ ბენიტესი უძლიერეს შემადგენლობას გაიყვანს ფერნანდო მორიენტესის ჩათვლით.

„საუთჰემპტონს“ მიჯრით ათ შეხვედრაში ვერ უმარჯვია და დღეს ფრანგი ნახევარმცველის ფაბრის ფერნანდესისა და მთავარი ფორვარდის, კევინ ფილიპსის გარეშე მოუწევს გაბრძოლება. ორივენი დაშავებულნი არიან. ერთი ეგაა, რომ ფინელი მეკარე ანტი ნიემი მომჯობინებულა და შესაძლოა სასტარტო შემადგენლობაშიც იყოს.



ჟოზე მაურინიუ „პორტსმუთთან“ „ჩელსის“ წამყვან მოთამაშეებს მათ შორის ჯონ ტერის ალბათ დაასვენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# კრიზისთან თამაში
## კუპერი ფარსულთან დარჩა

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბილბაო | : | ოსასუნა |
| ბარსელონა | : | რასინგი |
| **ხვალ** | | |
| ლევანტე | : | სოსიედადი |
| ალბასეტე | : | სევილია |
| მალაგა | : | ატლეტიკო |
| ხეტაფე | : | სარაგოსა |
| რეალი | : | მალიორკა |
| ბეტისი | : | ნუმანსია |
| დეპორტივო | : | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | : | ვალენსია |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 19 | 14 | 3 | 2 | 36:14 | 45 |
| რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 32:14 | 38 |
| ვალენსია | 19 | 10 | 6 | 3 | 29:13 | 36 |
| ესპანიოლი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:14 | 34 |
| სევილია | 19 | 9 | 5 | 5 | 21:19 | 32 |
| ბეტისი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:21 | 30 |
| ვილიარეალი | 19 | 7 | 7 | 5 | 28:16 | 28 |
| ოსასუნა | 19 | 8 | 4 | 7 | 28:29 | 28 |
| ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 26:22 | 26 |
| ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 19:18 | 26 |
| სარაგოსა | 19 | 7 | 4 | 8 | 26:29 | 25 |
| დეპორტივო | 19 | 5 | 9 | 5 | 25:28 | 24 |
| სოსიედადი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:24 | 22 |
| ლევანტე | 19 | 6 | 3 | 10 | 21:30 | 21 |
| ხეტაფე | 19 | 5 | 5 | 9 | 17:22 | 20 |
| ალბასეტე | 19 | 4 | 8 | 7 | 17:24 | 20 |
| რასინგი | 19 | 5 | 5 | 9 | 17:26 | 20 |
| მალაგა | 19 | 5 | 3 | 11 | 14:29 | 18 |
| მალიორკა | 19 | 3 | 5 | 11 | 17:32 | 14 |
| ნუმანსია | 19 | 3 | 5 | 11 | 12:30 | 14 |

**„მიგელ ანხელ ლოტინას** შესანიშნავ „ესპანიოლს" კვირას „რიასორზე" „დეპორტივოს" ნაცვლად ბურთაობა ახალ გუნდთან — „კრიზისთან" მოუწევს" — ნათქვამია გუშინდელ „მარკაში" და ვინძლო ეს ფრაზა არც პირინეებზე და არც სადმე სხვაგან გაზვიადებულად არ მიიჩნიონ. თავად განსაჯეთ — ხავიერ ირურეტას ოდესღაც დიდევროპულ გრანდთა ამკლები „დეპორი" დღეს პრიმერადივიზიონის ცხრილში მხოლოდ მეთორმეტეა და თუ კვირას „ესპანიოლთანაც" „ტრადიციულად" ითამაშა...

რა თქმა უნდა, წინასწარ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მასპინძელთა ბოლო 7 ტურის მწირი მონაგარი გალისიაში ნათელი მომავლის იმედს რაღაც ნაკლებად იძლევა... „სოსიედადი", „რასინგი", „სევილია", „ატლეტიკო", „სარაგოსა", „მალიორკა", „ნუმანსია" — ირურეტას სამწვრთნელო სავარძელი ახლა კატალონიელებთან იღბლიან მატჩზეა დამოკიდებული. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ თავად „რიასორზეც" შინაომი მძვინვარებს, ორიოდე დღის წინ მუდმივი სათადარიგოობით შეწუხებულმა ურუგვაელმა ვალტერ პანდიანიმ მავან ესპანურ გაზეთში დამრიგებელი და რამდენიმე თანაგუნდელი აუგად მოიხსენია. გარდა ამისა, მცველი მარტინ სესარი დაჯარიმებულია და ხვალ ვერ ითამაშებს.

სრულიად საპირისპირო ვითარებაა „ესპანიოლში". გუნდი ჩინებულ ფორმაშია, პრიმერას საჩემპიონთალიგო ოთხეულის წევრობას ინარჩუნებს და რაულ ტამუდო და ოსკარ სერანოც დაიბრუნა. კატალონიელთა ფორვარდმა, დანიმაც მოირჩინა ტრავმა და, სავარაუდოდ, გალისიელთა წინააღმდეგ თამაში არ უნდა გაუჭირდეს.

დღეს კი „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" სანტანდერის „რასინგს" მასპინძლობს. ფრანკ რაიკარდის გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი პორტუგალიელი დეკო დაუბრუნდა და სასტარტო შემადგენლობაში იქნება. „ბარსა" კი რონალდინიოს „გამოფხიზლებას" ელოდება, ბრაზილიელი უკვე მერამდენე თამაშია, ჩვეულად ვერ ბრწყინავს. „რასინგმა" წინა ტურში „ალბასეტესთან" ფრედ ითამაშა და კანტაბრიელებს სეგუნდაში გასავარდნი ადგილიდან ორი ქულა აშორებთ. მომხვდურნი დისკვალიფიცირებულ პედრო ლოპესს მოისაკლისებენ.

დღესვე „ბილბაოსა" „ოსასუნას" ბასკურნავარული ჯახია — ადგილობრივმა გუნდმა ხუთშაბათს კოპა დელ რეის მეოთხედფინალში გაიკვალა გზა და ისე ჩანს, თავიანთ „კანტერაში" (მეორე გუნდი) ნორჩი მარგალიტი ლორენტე იპოვა.

თასის მეოთხედფინალში გავიდა „ოსასუნაც", ოღონდ ნავარელებმა „ხეტაფესთან" ომს მთელი ძალ-ღონე შეალიეს და „სან მამესზე" შეიძლება, შემადგენლობის გადახალისება მოუხდეთ. სტუმართა მცველი ხოსე ისკიერდო დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნაზე იჯდება.

თასიდან გავარდნილი „რეალი" წყალწაღებულ „მალიორკას" ხვდება და „ვალიადოლიდის" ჯავრის ყრას ბალეარელ სტუმრებზე ეცდება. კუნძულელთა თავკაცმა ექტორ კუპერმა კი ბრაზილიელი რონალდო გამოლანძღა — „კიჭამ" „ინტერიდან" „რეალში" გასაქცევ მიზეზად ჩემთან კონფლიქტი მოიმიზეზაო.





რონალდოზე ექტორ კუპერი ისევ ნაწყენია, ჩემთან კონფლიქტი მოიგონაო

*ორიოდე დღის წინ ბუენოსაირესულ ჟურნალ „ვენტიტრესთან" ინტერვიუში არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ ერთ-ერთ კითხვას ასე უპასუხა: „მე არ ვამბობ, რომ ეს არ მომხდარა." ამ პასუხმა უკვე გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი და ეგებ გამოძიების დაწყების საფუძველიც გახდეს*

# ხომ მოგწამლეთ ჯიგრებო?
## ბილარდომ ბრაზილიას 15 წლის წინანდელი გაუხსენა



1990 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი: ბრაზილია — არგენტინა. კარლოს ბილარდოს ნათქვამმა, შესაძლოა, სკანდალი გამოიწვიოს

**ძველი** ამბავია. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ერთმანეთს არგენტინა და ბრაზილია შეხვდნენ. მთელი თამაში ბრაზილია გვარიან უპირატესობას ფლობდა, მაგრამ არგენტინამ კლაუდიო კანიჯას 81-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგო, მერე ფინალშიც გავიდა, სადაც დასავლეთ გერმანიასთან დამარცხდა.

იმ მერვედფინალში კი აი, რა მოხდა: რომელიღაც არგენტინელი ფეხბურთელი დაშავდა და ექიმები მოედანზე შეცვივდნენ. როგორც ხდება ხოლმე, წყალიც შეიტანეს და ფეხბურთელებმა ყელი გაისველეს. ერთი ბოთლი ბრაზილიელებსაც მიაწოდეს.

მატჩის მერე კი ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ბრანკომ დაიჩივლა, არგენტინელების მოწოდებული წყალი რომ დავლიე, მუცლის გვრემა დამეწყოო.

მაშინ გამოძიება შორს არ წასულა.

ახლა კი, თავში ნათქვამს მივუბრუნდეთ. ნახსენებ ინტერვიუში ბილარდოს, არგენტინელთა მაშინდელ მწვრთნელს იმ ამბის გახსენება სთხოვეს და პირდაპირაც ჰკითხეს, ბრაზილიელისთვის მიწოდებული წყალი მოწამლული იყო თუ არაო.

ბილარდოს ზემოხსენებული ორაზროვანი პასუხი კი ვინძლო მართლაც იძლეოდეს გამოძიების საბაბს, თუმცა ახლა რაიმეს დამტკიცება წარმოუდგენლად ჩანს.

ბრაზილიის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი კი ამბობს: „არა აქვს მნიშვნელობა, როდის მოხდა ეს ამბავი, 15 დღის თუ 15 წლის წინ. გამოძიება საჭიროა."

**ირაკლი ნინიძე**

# იაკინტას უდინეში არ ელაპარაკებიან

*გუშინ ვწერდით, რომ „ბარსელონა" უდინეზელი ვინჩენცო იაკინტას გადაბირებას ლამობს, დღეს კი ეს ამბავი ახალი დეტალებით გავამდიდროთ*



ვინჩენცო იაკინტა

კატალონიელთა ინტერესი უდინეშიც დაადასტურეს. კლუბის პრეზიდენტის შვილმა ჯინო პოცომ თქვა, მოლაპარაკება მიდის, მაგრამ შეთანხმებულები ჯერჯერობით არაფერზე ვართო.

ამასობაში, ესპანურმა მედიამ მოჩხრიკა, რომ ლაპარაკი ხუთნახევარ მილიონ გირვანქაზეა და რომ კონტრაქტი იტალიელ თავდამსხმელთან უახლოეს მომავალში გაფორმდება.

განცხადება თავად ფეხბურთელმაც გააკეთა, ოღონდ საყურადღებო არაფერი უთქვამს: „მოლაპარაკების პროცესში არ ვერევი. ერთადერთი, რაც ამწუთას მაინტერესებს, კვირას „რეჯინასთან" მატჩია.

ბოლოს დავძინოთ, რომ ვინჩენცო იაკინტა ახალგაზრდული „სკუადრა ატურას" წევრია.

**კოტე ძიძელია**

## ესპანეთი

**სამეფო თასი. 1/8 ფინალი საპასუხო მატჩი**

**ატლეტიკო 2:0 ლორკა (3:1)**

1:0, 2:0 ბრაულიო (64, 86)

**მეოთხედფინალის წილისყრა**

**ბილბაო — ვალიადოლიდი**
**ნუმანსია — ატლეტიკო**
**გრამანეტი — ბეტისი**
**სევილია — ოსასუნა**

*პირველი მატჩები გაიმართება 25-26 იანვარს, საპასუხოები — 2-3 თებერვალს*

## საფრანგეთი

**ლიგის თასი ნახევარფინალის წილისყრა**

**სტრასბური — სენტ ეტიენი**
**კაენი — მონაკო**

*მატჩები გაიმართება 1-2 თებერვალს*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ბაბუა დაბრუნდა
## ეშმაკი კენი ლიდსის მხსნელია

*გუშინ ტანჯული „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარედ დასახელდა განთქმული კენ ბეიტსი. მხსნელი შეთანხმებით, რომელმაც „ლიდსი“ უნდა გამოაღვიძოს.*

*73 წლის ბეიტსმა, თავისი გამოღვიძებული „ჩელსი“ რომან აბრამოვიჩის რომ მიჰყიდა, იმის შემდეგ უქმად იყო. ბეიტსის ზურგსუკან დგას ჟენევაში დაფუძნებული მძლავრი ფინანსური ჯგუფი. კლუბის საბჭოში კი განთქმულ თავმჯდომარეს „ლიდსის“ ლეგენდარული ფეხბურთელი, პიტერ ლორიმერი დაუმშვენებს მხარს.*



„მე ვთქვი, რომ დავბრუნდები და დავბრუნდი კიდეც“ — ამაყად განაცხადა ბეიტსმა.

ვალებით ტანჯულ „ელანდ როუდზე“, რომლის ბალახზეც სულ რაღაც ორი წლის წინ ბრწყინვალე გუნდი თამაშობდა, ეშმაკი კენის გამოჩენამ ყველა გაახარა: „ლიდსი“ კვლავაც დგას გაყიდვის წინაშე, თუმც ბეიტსი ყველაფერს მოაგვარებს.

კლუბის მენეჯერმა კევინ ბლექველმა თქვა: „ჩვენ იმედით შევცქერით მომავალს. მისტერ ბეიტსთან ერთად წინსვლაზე ფიქრიც შეიძლება“.

ბლექველმა „ლიდსი“ მაშინ ჩაიბარა, როცა ის ჩემპიონატის ბოლოში კონწიალობდა. თუ კლუბი იძულების წესით გაიყიდება, მაშინ ისედაც ცოტაქულიან იორკშირელებს კიდევ 10 ქულას ჩამოაჭრიან. და საერთოდაც, პრემიერლიგაში გადმოსვლაზე ფიქრი წარმოუდგენელია.

„ლიდსი“ ახლა მეთოთხმეტე ადგილზეა და იქ აღარ თამაშობს არც ერთი ის ფეხბურთელი, ვისაც მეტნაკლებად იცნობდნენ ამ კლუბის მაისურში.

„ლიდსის“ აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ, ჯერალდ კრასნერმა განაცხადა: „მისტერ ბეიტსმა და მისმა კონსორციუმმა ამ დილით მოაწერეს ხელი შეთანხმებას. მათი გეგმა არის ხანგრძლივი გადარჩენის გზა და თანდათანობითი ინვესტიცია“.

„ჩელსიდან“ წამოსული ბეიტსი, რომელსაც აბრამოვიჩისგან 140 მილიონი გირვანქა ჰქონდა აღებული, მთელი წლის მანძილზე ცდილობდა ნაირგვარი საფეხბურთო ინვესტიციების განხორციელებას. მაისში მან „შეფილდ უენსდის“ შესთავაზა 10 მილიონი, მაგრამ უარი მიიღო.

გასულ კვირაში „ლიდსის“ თავმჯდომარეობას ცდილობდა სებასტიან საინსბერი, სუპერმარკეტთა განთქმული ქსელის, „საინსბერის“ შემქმნელთა შთამომავალი, რომელიც ოქტომბრიდან უტრიალებდა კლუბს, მაგრამ მის 40 მილიონს კენ ბეიტსის წინადადებები ამჯობინეს.

ხოლო თუ რა წინადადებზე იყო საუბარი, მათ თავად ბეიტსი სულ მალე გაამხელს.

ბოლოს კენ ბეიტსის სალაღობო გამონათქვამებს შემოგთავზებთ, „ჩელსის“ დროინდელი რომაა და რომელიც საკმაოდ ცნობილია ინგლისში. აი, რამდენიმე მათგანიც:

„აილეთ რუუდ გულიტი. არ მიყვარდა მისი ამპარტავნება. პრინციპში გულიტიც არ მიყვარდა. თუმცა, სანამ საჩუქრები მოჰქონდა, არ ვწუხდი. მერე ყველაფერი დაკარგა და უნდა წასულიყო.“

„ლუკა ვიალისთან კარგად ვიყავი. როცა დავითხოვეთ, კართან მივაცილე და ჩვეულებრივი, იტალიური ფორმალობებით დავშორდი: გადახვევა, გადაკოცნა“.

„საოცარი იცით რა არის? რომ მარტინ ონილმა იცის იმსიგრძე სიტყვა, როგორიცაა „კრეტინი“.

„კლაუდიო რანიერის მუშაობით კმაყოფილი ვარ. თასის ნახევარფინალში „ფულემი“ დაამარცხა. რომ წაგვეგო, უნდა მომეხსნა, რაც ძალიან დამწყვეტდა გულს, იმიტომ რომ ორი დღის წინ გავუფორმე ახალი კონტრაქტი“.

„ვერ გაექცევი იმ ფაქტს, რომ კრის სატონი ღვთის რისხვა იყო „ჩელსისთვის“.

„მაკელელე? სად თამაშობს? მე მის ძმაზე გამიგია. უკელელე, არა?“

„ზაფხულში იტალიიდან დამირეკეს, ბატისტუტას უნდა „ჩელსიში“ ჩამოსვლაო. მჯერა რომ უნდა, მაგრამ პენსიონერს ასე ვერ დავტვირთავ, ცოდოა“.

„ვისაც ჩემთან ლაპარაკი უნდა, ფული გადამიხადოს“.

„იესოს ერთი პილატე ჰყავდა, მე ბარე ოცი მყავს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მიდოც მოსულა!
## ისიამოვნეთ ვარჯიშით



ეგვიპტელი მიდო ინგლისში გააქირავეს

**„ტოტენჰემმა“** თავისი გაიტანა: იტალიურმა „რომამ“ სწორედ ლონდონურ კლუბს მიაქირავა თავისი ეგვიპტელი თავდამსხმელი აჰმედ ჰოსამი, იგივე მიდო.

21 წლის არაბზე „საუთჰემპტონსაც“ ეჭირა თვალი, თუმც, „დეზების“ სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი თავად ესაუბრა მიდოს და ისიც დათანხმდა. ქირა სეზონის ბოლომდე გასტანს, მერე კი ალბათ სრულ კონტრაქტზეც იფიქრებენ.

„მე არნესენს ვესაუბრე და ყველაფერი გაირკვა — თქვა „მარსელის“ ყოფილმა მოთამაშემ — „ინგლისში დიდი ვარსკვლავივით შევაბიჯებ, მაგრამ კლუბს ევროსაგზურის მოპოვებაში უნდა დავეხმარო. „ტოტენჰემში“ ფრედი კანუტსა და ნურედინ ნაიბეტს ვიცნობ, ისინი შეგუებას გამიადვილებენ.“

„ტოტენჰემის“ მენეჯერმა მარტინ იოლმა კი თქვა, რომ მიდოს გარდა „ჩელსის“ კარლტონ კოულიც აინტერესებს: „ის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, ოღონდაც ძირითადში თამაშს უნდა გაეჩვიოს“.

რაც შეეხება მიდოს, მას „აიაქსში“ და „მარსელში“ ყოფნაც მოუსწრია, რომში კი ბოლოხანს ცუდად წაუვიდა საქმეები.

მიდო განთქმული ეგვიპტური „ზამალექიდანაა“, „აიაქსში“ ჩატარებულ 40 თამაშში 21 გოლი გაიტანა, იქედან კი „მარსელში“ გადავიდა, სადაც 22 შეხვედრაში 7 გოლი შეაგდო. სექტემბრიდან „რომაში“ იყო, ეგვიპტის ნაკრებში კი სკანდალური ისტორიაც გადახდა თავს: აფრიკის თასის შესარჩევი მატჩის წინ იტალიელ მწვრთნელ მარკო ტარდელის უთხრა, საზარდული მაწუხებსო, 24 საათში კი „რომას“ მაისურით ითამაშა ამხანაგურ მატჩში.

ამასობაში კი „ტოტენჰემი“ შენდება და მშვენდება. გუნდის მთავარმეგოლის, ჟერმენ დეფოს თქმით, ცხოვრება და ვარჯიში მარტინ იოლის ხელქვეით, ერთი სიამოვნებაა.

**ირაკლი გამყრელიძე**




**იტალიური** „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ტურინის „იუვენტუსის“ კაპიტნის, ალესანდრო დელ პიეროს შეძენის სურვილი გამოთქვა. მისით იაპონური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, თუმც 30 წლის ფეხბურთელის აგენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, ალექსი 2008 წლამდე არსად წასვლას არ აპირებსო. „იაპონურ კლუბებს მართლაც სურთ დელ პიეროს გადაბირება, მაგრამ მისით კიდევ ბევრი გუნდია დაინტერესებული. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ პირველად „ჩელსის“, „რეალისა“ და „მანჩესტერის“ წინადადებებს განვიხილავთ“ — თქვა ალესანდროს აგენტმა მარიო მიაკავამ.

**ესპანურმა** „ვილიარეალმა“ კიდევ ერთ ფეხბურთელთან გააგრძელა კონტრაქტი. გუნდის 29 წლის მცველი ხავი ვენტა „ელ მადრიგალზე“ 2008 წლის ივნისამდე დარჩება. იგი „ვილიარეალში“ 2002 წელს „ტენერიფედან“ გადავიდა და მალევე კლუბის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად იქცა. შეგახსენებთ, ორი დღის წინ „ვილიარეალთან“ კონტრაქტი ხოსიკომაც გააგრძელა.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოკითხვა მოაწყო. გულშემატკივრების ხმების აბსოლუტური უმრავლესობა „ჩელსის“ ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდს ერგო. პირველი ხუთი ადგილი კი ასე გადანაწილდა: 1. ფრენკ ლამპარდი (40%), 2. უეინ რუნი (16), 3. სტივენ ჯერარდი (9,8), 4. ეშლი კოული (9,4), 5. შონ რაიტ-ფილიპსი (7).

**იტალიური** „მილანი“ თავისი ვეტერანი მცველის კაფუს შემცვლელს ეძებს. 35 წლის ბრაზილიელს ნელ-ნელა ასაკი დაეტყო და „შავ-წითლებიც“ თადარიგს აქედანვე იჭერენ. გავრცელებული ცნობით, მილანელებმა მიზანში ახალგაზრდა ბერძენი მცველი იურკას სეიტარიდისი ამოიღეს. ევრო 2004-ის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ტურნირის დასრულებისთანავე 2 მილიონ გირვანქად „პანათინაიკოსიდან“ „პორტუში“ გადავიდა. სპეციალისტთა აზრით, ახლა იურკას სეიტარიდისი სულ ცოტა სამჯერ მეტი ღირს.

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ემანუელ პეტი ფეხბურთიდან წავიდა. იგი ბოლო თვეების მანძილზე აქტიურად ვარჯიშობდა და ახალ კლუბსაც ეძებდა, მაგრამ საბოლოოდ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 34 წლის პეტის თქმით, მუხლის ტრავმა მას კვლავ თავს ახსენებს და სათანადო ფორმას ვერასდროს დაიბრუნებს.

| 16141 | რეალი-მალიორკა | 1.02 | 7.3 |
| 16142 | ბეტისი-ნუმანსია | 1.15 | 4.4 |
| 16143 | ბილბაო-ოსასუნა | 1.35 | 2.6 |
| 16144 | ბარსელონა-რასინგი | 1.03 | 6.55 |
| 16145 | ალბასეტე-სევილია | 1.8 | 1.8 |
| 16146 | ლევანტე-სოსიედადი | 1.6 | 2.1 |
| 16147 | ვილიარეალი-ვალენსია | 1.8 | 1.8 |
| 16148 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.6 | 2.1 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | საუთჰემპტონი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 3.0 |
| 15002 | ნორვიჩი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ევერტონი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბირმინგემი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ჩელსი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | კრისტალ პალასი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | არსენალი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ბლექბერნი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | მიონხენგლადბახი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ჰანზა-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | მაინცი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | შალკე-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | ბოხუმი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლეჩე-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | იუვენტუსი-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ბოლონია-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | ინტერი-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | ლივორნო-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15104 | სიენა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15105 | მესინა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15106 | უდინეზე-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15107 | ფიორენტინა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15108 | ლაციო-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15139 | მალაგა-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15140 | დეპორტივო-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15141 | რეალი-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15142 | ბეტისი-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15143 | ბილბაო-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15144 | ბარსელონა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15145 | ალბასეტე-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15146 | ლევანტე-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15147 | ვილიარეალი-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15148 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | საუთჰემპტონი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ნორვიჩი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბირმინგემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.9 | 1.9 |
| 17007 | კრისტალ პალასი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | არსენალი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | მაინცი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | შალკე-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ბოხუმი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ლეჩე-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | იუვენტუსი-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბოლონია-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ინტერი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ლივორნო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | სიენა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17105 | მესინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17106 | უდინეზე-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ფიორენტინა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ლაციო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17139 | მალაგა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17140 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17141 | რეალი-მალიორკა | 1.9 | 1.9 |
| 17142 | ბეტისი-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ბილბაო-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ბარსელონა-რასინგი | 1.9 | 1.9 |
| 17145 | ალბასეტე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ლევანტე-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ვილიარეალი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

# ავსტრალიის ღია პირველობა 2005

## მელბურნი. მაგარსაფარი

# მომთაბარემ ფესვები გაიდგა

## ოყრაყი მარატი დაღვინებულა

### მესამე წრე


REUTERS მელბურნიდან

### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3 5:2 ნიემინენმა შენყვიტა; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — მარიო ანჩიჩი (28, ხორვატია) 6:4 3:6 6:3 6:4; **ანდრე აგასი** (8, აშშ) — ტაილორ დენტი (29, აშშ) 7:5 7:6 (7:3) 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (20, სლოვაკეთი) — გასტონ გაუდიო (10, არგენტინა) 7:6 (7:5) 6:7 (8:10) 6:7 (3:7) 6:1 6:3; **იოახიმ იოჰანსონი** (11, შვედეთი) — ფელისიანო ლოპესი (24, ესპანეთი) 6:3 3:6 5:7 7:6 (7:2) 13:11; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ტომი რობრედო (13, ესპანეთი) 7:6 (7:2) 6:4 6:1; **ტომას იოჰანსონი** (30, შვედეთი) — კევინ კიმი (აშშ) 3:6 6:2 6:7 (4:7) 6:2 6:2; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:7 (6:8) 6:1 6:4 6:2

### ქალები

**ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (სერბეთი) 6:2 7:5; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ლი ნა (ჩინეთი) 6:0 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:3 7:6 (7:5); **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:1 6:4; **ნადია პეტროვა** (11, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (22, ბულგარეთი) 6:4 6:5; **სილვია ფარინა ელია** (15, იტალია) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:1 6:0; **ევგენია ლინეცკაია** (რუსეთი) — ემი ფრეზერი (21, აშშ) 6:3 6:4; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — ანა-ლინა გრიონეფელდი (გერმანია) 7:5 6:4

როჯერ ფედერერი ფინელ იარკო ნიემინენს გუშინ ალბათ ისედაც უპრობლემოდ [illegible]. მაგრამ ამოცანა მას კიდევ უფრო გაუადვილდა იმან, რომ ფინელს წინა კვირაში დაჭიმული მუცლის კუნთი აწუხებდა. მზელავმა საქმეს ვერაფერი უშველა და ნიემინენს კორტის ნაადრევად დატოვება მოუხდა — ფედერერის გასახარად, რადგან ის ზედმეტ გარჯას გადაურჩა, და მაყურებელთა გულდასაწყვეტად, რადგან უებრო მოჩოგნავე შვეიცარიელის ხილვა მათ ჩვეულებრივზე მცირე ხნით დასცალდათ.

მომდევნო წრეში ამქრის პირველობანს 19 წლის კვიპროსელი მარკოს ბაღდატისი შეერკინება, ვინაც გუშინ დასტურ მოდრიკა მე-13 ნომრად განთესილი ტომი რობრედო და პირველი თავისკუნძულელი გახდა, 1968 წლიდან ანუ ღია პირველობათა ეპოქაში, დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის მეოთხე წრეს რომ უწია. ბაღდატისივე იყო პირველი კვიპროსელი, რომელიც საერთოდ ამა თუ იმ სლემტურნირის ძირითად ბადეში მოხვდა — აშშ-ის შარშანდელ ღია პირველობაზე მან საკვალიფიკაციო შეხვედრებში იმარჯვა, პირველ წრეში ფრანგი ოლივიე მუტიც დაამარცხა და მეორეში იმავ როჯერ ფედერერთან დათმო. სხვათა შორის, იმ ტურნირზე სწორედ ეს კვიპროსელი მოყმე და ანდრე აგასი იყვნენ ის ორადორნი, ბაზელელ უსტაბაშს სეტები რომ წაჰგვარეს. საინტერესოა, ახლა როგორ იქნება, ეგ მით უფრო, რომ გუშინ ფედერერი იმასაც ამბობდა, ჩემი ისიც კი უკვირთ, ხამუშ-ხამუშ გეიმს რომ ვაგებ და იმის წარმოდგენაც კი არ მინდა, ვინმემ სეტი რომ გამაგდებინოსო.

სხვაფრივ — გუშინ ისევ დამაჯერებლად იბურთავა შარშანდელმა და იმისწინისწინანდელმა ფინალისტმა მარატ საფინმა. ახმახმა რუსმა მატჩის მსვლელობისას მარჯვენა კოჭის გადაბრუნებაც მშვიდად გადაიტანა, არც თავის შეცდომებზე გალიზიანებულა და საერთოდაც ისე სახეცვლილად გაირჯა, რომ ნამატჩევს მსოფლიო მასმედიის ხოტბაც დაიმსახურა, აქაოდა, სალოლ, მარატ, ეგრე წყნარად და რამე-რუმედ აქამდე არასოდეს გითამაშიაო. საფინი ამ ხოტბას იფერებდა და — ხალხო, პატარა აღარა ვარ, მალე საუკუნის მეოთხედს მოვათევ და ცოტა ჭკუა უკვე მეც მომეკითხებაო — ისევე დარბაისლურად მსჯელობდა, როგორც რომ წინა წრეში შეაგონებდა თავის უმცროს დაიკო დინარას, ცოტა შენც აზრზე უნდა მოხვიდეო. ამ ყველაფერს მით უფრო მეტი ფასი ედება იმის გათვალისწინებით, რომ გორანიშვილმა — და მარიო ანჩიჩს განთქმულ თანაქალაქელ გორან ივანიშევიჩთან მსგავსების გამო სწორედ ასე უხმობენ — თითქმის ისეთივე ბარაქიანი თამაში აჩვენა, რაიც შარშანდელ უიმბლდონობაზე, სადაც ნახევარფინალამდე მიატანა. „ახლა გაცილებით უფრო მშვიდი ვარ — დასძენდა საფინი — წლებმა თავისი ქნა და სხვებთან ერთად მეც ბევრი რამ მასწავლა."

მეოთხედფინალში გასასვლელად კი საფინი ტანმორჩილ ოლივიე როხუსს შეერკინება, ვინაც თავის მხრივ სლოვაკ ბეკს გაუსწორდა. აი, მეორე სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ კი უმძიმეს, ხუთსეტიან განდაგანაში აჯობა შარშანდელი როლანგაროსობის გამარჯვებულ გასტონ გაუდიოს და მასთან ახლა 4:1-ით უპირატესობს. 27 წლის ჰრბატი ამქრის ერთ ყველაზე უფრო გამრჯე მეჩოგნედ მიიჩნევა და 1997 წლის ავსტრალიობიდან მოყოლებული თავის ზედიზედ 33-ე სლემტურნირზე გამოდის. მელბურნულ მეოთხე წრეში მას 1997 და 2002 წლებშიც უთამაშია, ხოლო მეოთხედფინალში პირველად გასვლას ახლა ტურნირის 2002 წლის ჩემპიონ ტომას იოჰანსონთან შეხლაში ეცდება.

ტომასმა, ისევე როგორც მისმა მოგვარე იოახიმმა გუშინ ასევე ხუთსეტიანი ბრძოლები გადაიტანეს და მომდევნო წრეში წყვილად შევარდნენ. ამათგან უფრო ოფლიანი იოახიმის მონაწილეობით შემდგარი ბრძოლა გამოდგა. ლეიტონ ჰიუიტის დის ბოიფრენდს შეუპოვრად ეეისა ესპანელთა შორის ყველაზე მძლავრად მომწოდებელი ფელისიანო ლოპესი. მათმა შეხლამ თითქმის ოთხ საათს გასტანა და იბერიელის 34 გამჭოლი მოწოდების სანაცვლოდ სკანდინავმა 38 ეისი დააგრუხუნა. გადამწყვეტ 86-წუთიან სეტში იოჰანსონს უკვე კორტზე გადაადგილებაც უჭირდა, მაგრამ აიწონა-დაიწონისას მაინც იძალა და ტურნირის ოთხგზის ჩემპიონ ანდრე აგასისთან დაპირისპირება დამსახურებულად გაიჩალიჩა.

34 წლის გრძნეულმა არმენოამერიკელმა ზორბა თვისტომ ტაილორ დენტთანაც უნაკლოდ იჩოგნავა და საქმე ისე გაასრულა, სეტი მეტოქისთვის არც ამ ჯერზე დაუნებებია. ისე, იოახიმ იოჰანსონთან დაპირისპირების წინ დენტისთანა ახმახთან გასპარინგებას ის დიახაც რომ ჩინებულად გამოიყენებს.

რაც შეეხება მდედრიონს, აქ რვა შეხვედრიდან ორ სეტზე მეტხანს არც ერთი არ გაგრძელებულა და ისე მორჩა, როგორც მოსალოდნელი იყო. ერთი ის გაგვიკვირდა, რომ რუსთა ბანაკს კიდევ ერთი, მავანი ევგენია ლინეცკაია შეუერთდა და თანაც ერთობ სიმბოლურად — ამ მორიგმა რუსულმა ჭაბუკამ კორტიდან მხცოვანი ამერიკელი ემი ფრეზერი გააბუნძულა. სხვა კი რაღა — სვეტლანა კუზნეცოვას ძალიან გაუჭირდა მეორე სეტში არგენტინელი მარიანა დიას-ოლივას დამორჩილება, ხოლო სერენა უილიამსს ასევე მეორე სეტში გაუძალიანდა 18 წლის ჰინდური სათნოება სანია მირზა, მაგრამ საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ისევ მხოლოდ გაძალიანებაზე გვიწევს საუბარი და არა რაიმე სარეიტინგო ყირამალებზე.

**ლევან ქელაურაძე**


REUTERS მელბურნიდან

სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ ავსტრალიიდან გასტონ გაუდიო გაისტუმრა



კვიპროსელმა მარკოს ბაღდატისმა მე-13 ნომრად განთესილი ტომი რობრედო გააგდო

# ძიუდოს ტატამი გაშალა

## რუსული სუპერი სუპერების გარეშე ჩაივლის



ლაშა გუჯეჯიანი

**დღეს-ხვალ** მოსკოვში, სპორტის სასახლე „ლუჟნიკებში“ ძიუდოს საერთაშორისო სეზონი იხსნება. ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ტურნირს ძიუდოს ევროპის კავშირმა ახლახან „მსოფლიოს სუპერთასის“ სტატუსი მიანიჭა, პარიზისა და ჰამბურგის ტრადიციულ ტურნირებთან ერთად. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო პირველობას კი ოდნავ დაბალი რანგის „მსოფლიოს თასი“ ერქმევა.

პირველ რუსულ სუპერთასზე საქართველოს ნაკრები ახალგაზრდული შემადგენლობით ჩავიდა. შოთა ხაბარელმა თან დეკემბერში ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონ-პრიზიორები და მედლის გარეშე დარჩენილი, თუმც ეროვნულის კანდიდატი ძიუდოისტები იახლა. ქართული ათეულიდან ყველაზე გამოცდილი მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანია. ოლიმპიური ნაკრების წევრმა შარშან ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობაც მოასწრო.

რუსეთის ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, „მსოფლიოს სუპერთასზე“ საჭიდაოდ 17 ქვეყნის ნაკრები ჩასულა, თუმც მათ შორის არ არიან გერმანიის, ჰოლანდიის, ბრიტანეთის, თურქეთის, საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ძლიერი ნაკრებები. იქვე ვკითხულობთ, რომ მასპინძლები გულშემატკივარს განახლებულ ნაკრებს წარუდგენენ, რომელშიც ყველაზე გამოცდილები ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოსანი დიმიტრი ნოსოვი (81 კგ) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალექსანდრ მიხაილინი (+100 კგ) არიან.

რეგლამენტის თანახმად, მასპინძლებს შეუძლიათ, თითო წონაში ოთხი კაცი აჭიდაონ, ევროპელ სტუმრებს — ორ-ორი, ხოლო დანარჩენებს — თითო-თითო. ეს უფლება შოთა ხაბარელმაც გამოიყენა და ოთხ წონაში ნაკრების ორი კანდიდატი წაიყვანა. სამაგიეროდ, 100 კილოგრამში საქართველოს ნაკრებს არავინ ეყოლება. ამის მთავარ მიზეზად მწვრთნელმა მცირე ტრავმები დაასახელა.

დღეს დილიდან „ლუჟნიკების“ ტატამზე 60, 66 და 73 კილოგრამიანი ძიუდოისტები გავლენ და საღამოს ჩემპიონ-პრიზიორებსაც გამოავლენენ. ხვალ კი დანარჩენი ოთხი წონა ჩაჭიდავდება.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 60 კგ | დავით ასუმბანი |
| | ვახტანგ ხოსიტაშვილი |
| 66 კგ | დავით უძილაური |
| | ზეზვა ებელაშვილი |
| 73 კგ | ტარიელ მინესაშვილი |
| | დავით ბოდაველი |
| 81 კგ | ხვიჩა ხუციშვილი |
| 90 კგ | ლაშა გენგაშვილი |
| | დავით ცირეკიძე |
| +100 კგ | ლაშა გუჯეჯიანი |



# ნაიკიანი ქართველობა მონტეის თოვლზე

**ხვალ** შვეიცარიის სამთო კურორტ მონტეიში სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებს შორის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება. ფესტივალის მონაწილეთა შორის არიან საქართველოს წარმომადგენლებიც, რომლებიც ამ დილით გაფრინდნენ შვეიცარიისკენ, გუშინ კი მათ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვდნენ, გზა დაულოცეს და წარმატებებიც უსურვეს.

ამგვარ ფესტივლებში საქართველოს სპორტსმენები წარმატებით წაფხულის სახეობებში გამოდიან, ზამთრისაში კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. ზამთრის ამგვარ ფესტივალში, რომელსაც თავდაპირველად ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები ერქვა, ჩვენი სპორტსმენები პირველად 1995 წელს გამოვიდნენ ანდორაში, სადაც მეორე შეჯიბრება გაიმართა. საქართველოს წარმომადგენელმა პირველი მედალი 1997 წელს მოიპოვა შვედეთის ქალაქ სუნდსვალში. მაშინ ვახტანგ მურვანიძემ ფიგურულ ციგურაობაში, ერთეულთა თანრიგში „ვერცხლი“ დაიმსახურა. ეს საქართველოს სპორტის ისტორიაში იყო საერთოდ პირველი ჯილდო, რომელიც ზამთრის სახეობებში ოფიციალურ ასპარეზობაში მოიპოვეს. ვგულისხმობთ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებს, თასის გათამაშებებს, ოლიმპიურ თამაშებს, ოლიმპიურ ფესტივალებს და სხვა საერთაშორისო ტურნირებს.

სამწუხაროდ, მურვანიძის ვერცხლი ბოლოც აღმოჩნდა.

ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები დიდ იმედებს არც მონტეის ფესტივალს უკავშირებენ. თუმცა იქ ამგვარი ფესტივალების ისტორიაში, საუკეთესოდ ჩაცმულ-დახურულნი გამოვლენ და თავს „ნაიკის“ ფირმებით მოიწონებენ.

ასეა თუ ისე, მონტეიში ძალებს ცდიან ბაკურიანელი სამთო მოთხილამურეები: და-ძმა ანა და ირაკლი აბრამიშვილები, ვახტანგ თედიაშვილი, თბილისელი ლაშა ცირეკიძე, აგრეთვე ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ მოსკოვში ვარჯიშობს.

**ავთანდილ ტყვიშელი**





# მაჩაიძემ ახალი წესრიგი ჩამოიტანა

**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ რამდენიმე დღის წინ შვეიცარიაში ჩატარებულ მსაჯთა სემინარზე საჭიდაო წესები ძირფესვიანად შეცვალა. სამი სიახლის შესახებ ჯერ კიდევ შარშან შევიტყვეთ და „სარბიელშიც“ არაერთხელ დავწერეთ, მაგრამ სემინარზე მყოფმა ერთადერთმა ქართველმა მსაჯმა ედიშერ მაჩაიძემ თბილისში იმდენი ახალი წესი ჩამოიტანა, გაზეთის მთელი გვერდი არ ეყოფა. ახლა ქართულად ითარგმნება და ალბათ ამ დღეებში სპორტულ წრეებშიც გავრცელდება. პარალელურად ქართველი ექსტრაკლასის მსაჯი კოლეგებისთვის რამდენიმე სემინარის ჩატარებასაც აპირებს. „ფილა სემინარს ყოველწლიურად მართავს, მაგრამ წლევანდელი წინათაგან გამორჩეული იყო — გვითხრა გუშინ მაჩაიძემ — მას ფილას პრეზიდენტი პირადად წარუძღვა და წესები ძირეულად შეიცვალა**

**— სემინარამდე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საჭიდაო წესებში სიახლეები უკვე დამტკიცებული იყო და სემინარზე ისინი დამსწრეთათვის უნდა გაეცნოთ...**

— ასე ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ, მანამდე ინფორმაციის სახით გავრცელდა რამდენიმე ახალი წესი. შვეიცარიაში ერთად დავამტკიცეთ ეს გახმაურებული წესებიც და სხვებიც.

**— თავიანთი ვარიანტები ცალკეულმა დელეგაციებმაც ხომ არ წარმოადგინეს?**

— საამისოდ ფილა ყველა ფედერაციას დაახლოებით ერთი წლით ადრე შეეხმიანა. ასე რომ, თუ ვინმეს რამე იდეა ჰქონდა, ყველამ სემინარამდე აუწყა საერთაშორისო ფედერაციას.

**— ახალი წესების დანერგვას დარბაზში მომხრე მეტი ჰყავდა თუ მოწინააღმდეგე?**

— ვერ გეტყვით. აზრთა სხვადასხვაობა ჩვეულებრივი ამბავია. ნურც იმაზე ვილაპარაკებთ, რომელი მხარეა მართალი და რომელი მტყუანი. ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. ჯობს, გაზაფხულზე ვარნაში გასამართ ევროპის ჩემპიონატს დაველოდოთ.

**— თუ საიდუმლო არაა, თქვენი აზრი როგორია?**

— ვფიქრობ, სანახაობრივი მხარე გაუმჯობესდება. ჩოქბჯენით დასჯის წესის ამოღებით აქცენტი დგომში ჭიდაობაზე გადავა და ილეთების გაკეთების ალბათობაც გაიზრდება.

**— ახლა ალბათ თქვენ მოგიწევთ ქართველი მსაჯების შეკრება...**

— რა თქმა უნდა. მათ თვის ბოლომდე რამდენჯერმე შევხვდები და ყველა ნიუანსში გავარკვევ.

**— საქართველოს ჩემპიონატი ახლოვდება. თავადაც ხომ არ აპირებთ მსაჯობას?**

— აუცილებლად.

**ოთარ ბაღლაძელიძე**



# მონრეალიდან ცურვა წყალმა გამორიყა



REUTERS

**მონრეალში** გასამართი მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს ნაწილობრივ დაესვა წერტილი. როგორც ვიუწყებოდით, ამ ქალაქს ივლისში უნდა ემასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მაგრამ მისი საორგანიზაციო კომიტეტი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ მიდგნენ, მოდგნენ და რამდენიმე სპონსორული კონტრაქტიც გააფორმეს. თუმცა, მასპინძელთა მცდელობამ შედეგი ბოლომდე ვერ გამოიღო. მსოფლიოს ჩემპიონატი 5 მილიონიანი დეფიციტით დარჩა. ამასთან, მასპინძლებმა ვერც მაყურებელთა სათანადო რაოდენობის დაინტერესება შესძლეს. ყოველივე ამის გამო, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ მონრეალს გუშინწინ ჩამოართვა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მონრეალში გასამართი ჩემპიონატის ირგვლივ ფინანსურმა კრიზისმა იჩინა თავი, კანადის მეზობელმა ამერიკამ, რომელიც ცურვის უკამაძესი ქვეყანაა, გამოთქვა სურვილი, რომ ამ შეჯიბრებას ნიუ-იორკში ვუმასპინძლებთო. ახლა აღმოჩნდა, რომ ამერიკელებს მისი გამართვა წლეულს არ ხიბლავთ. ამ ჩემპიონატის წლეულს მიღებით არც მოცურავეთა მეორე უდიდესი ქვეყანა, ავსტრალიაა დაინტერესებული. სამაგიეროდ, ათენელები გამოთქვამენ დიდ სურვილს, რომ ამ ასპარეზობას უმასპინძლონ.

ათენის უპირატესობა ისაა, რომ შარშან ოლიმპიური თამაშების პროგრამით ამ ქალაქმა მოცურავეთა შეჯიბრებასაც კარგად უმასპინძლა.

ბერძნების მსგავსად ჩემპიონატის მიღება სურს გერმანიას, რომელიც მის მასპინძლობას ბერლინში ან მიუნხენში ფიქრობს.

ცურვის საერთაშორისო ფედერაცია თებერვალში გადაწყვეტს, თუ ამ ქალაქთაგან რომელი მიანდობს მოცურავეთა მიღებას.

**ავთანდილ ტყვილეში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Euroleague

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 19-20 იანვარი

# ევროლიგის წითელი საფრთხე

## ცსკა აქედანვე კბილებს ილესავს

**ევროლიგის** პირველი ჯგუფური ეტაპი, რომელმაც 24-დან 16 საუკეთესო გუნდი უნდა გამოავლინოს, დასასრულს უახლოვდება და ამ დროს უმჯობესია, მონაწილეთა ჯგუფიდან გასვლის შანსებზე ვილაპარაკოთ, ვიდრე ჩვენებურთა მიღწევებზე. ასე რომ...

ვინმემ შეაჩერეთ რუსები! — დაახლოებით ამ შინაარსის ლოზუნგს ამოიკითხავთ ევროლიგის ოფიციალურ საიტზე ცსკა — „ულქერის" მატჩის რეპორტაჟში. მოსკოვური გუნდი, რომელსაც განაცხადში მხოლოდ ხუთი რუსი ჰყავს, მედიდურად მიიბრძვის არა მხოლოდ ტოპ-16-კენ, არამედ ოთხთა ფინალისა და, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისკენ.

არმიელები წლეულს ევროპაში ჯერაც არ დამარცხებულან, 11-დან ყველა მატჩი მოიგეს და თუ საწყის ეტაპზე დარჩენილ სამივე შეხვედრაშიც იმარჯვებენ, ამ პრესტიჟული ტურნირის რეკორდს გამოაცხობენ.

რეკორდი იქით იყოს და წლეულს ცსკა-ს ჩემპიონობა ჰაერივით სჭირდება, რადგან სწორედ ისაა ევროლიგის ოთხთა ფინალის მასპინძელი და საკუთარ ქალაქში დამარცხებას ტრაგედიად აღიქვამს. ამიტომაცაა, წითელარმიელები უმოწყალოდ რომ უსწორდებიან ყველას და ამით მომავალ საოთხიაფინალო მეტოქეებს სულს უფორიაქებენ.

ამჯერად ცსკა-მ არცთუ ბეჩავი „ულქერი" მოსკოვში გამოიჭირა და ისე მოგუდა, გასაქანი არ მიუცია. ამით არმიელებმა ცხრილში მათ ქვემოთ მყოფი გუნდების განლაგება დააბალანსეს — ანუ C ჯგუფიდან ზე-16-ში გასვლა მათ გარდა არავის აქვს გარანტირებული.

სამაგიეროდ, A ჯგუფიდან უკვე ოთხი გუნდი გაძვრა მორიგ ეტაპში. „კლიმამიო" (ყოფილი „სკიპერი") და თურქული „ეფესი" ცხრაცხრა გამარჯვებით პირველობენ და ამათ კვალზე „ციბონასა" და მადრიდის „რეალსაც" გარანტირებული აქვთ შემდეგ ეტაპზე გასვლა.

A ჯგუფიდან გამსვლელი ოდენ ერთი საგზურიღა დარჩა გასათამაშებელი, რაკი საუკეთესო მეექვსეადგილოსანი, რომელიც თითოეულ ჯგუფში ნაყოჩაღევ ხუთ-ხუთ გუნდს უნდა დაემატოს, აქედან ალბათ ვერ გავა. A ჯგუფში მეექვსეზე მყოფ ესპანურ „ესტუდიანტესს" მხოლოდ სამი გამარჯვება აქვს, როცა ოთხი მოგების მომხვეჭი „ოლიმპია" B ჯგუფში მეშვიდეა.

ოლიმპიელებმა ოთხშაბათს სიენაში დრამატული მატჩი წააგეს და თექვსმეტეულში გასვლის პერსპექტივა საგრძნობლად გაიმრუდეს. ვლადიმერ ბოისას და მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, ტოლი არაფერში დაუდო ევროლიგის ბოლო ორი ოთხთა ფინალის მონაწილეს, მაგრამ ბოლო წუთზე იღბალმა უმტყუნა.

სხვათა შორის, ოლიმპიელთა ბედი ვლადიმერ ბოისაზე ეკიდა, როცა ჩვენიანს სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ორის საჯარისო ისროლა, მაგრამ...

მარკოიშვილმა შვიდი წუთი ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა, ბოისას კი 13 მოუგროვდა.

ამ ჯგუფში შედგა ტურის ყველაზე დრამატული მატჩი, რომელიც კაუნასში გაიმართა და ახალი სპონსორის გამო „ვინტერტურად" წოდებულმა „ბარსელონამ" კინკილა ქულით დაამარცხა „ჟალგირისი". ლიტველები ლიუბლიანელებს უშუალოდ ეცილებიან ჯგუფიდან გასვლას და ჩვენთვის კარგია, ესპანელებმა რომ იმარჯვეს, თუმც, სიმართლე ითქვას, ბალტიელების წაგება მაინც გულდასაწყვეტი იყო.

„ჟალგირისმა" ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩის საწყისი სამი მეოთხედი და საფინალო ათწლეულის წინ ათქულიანი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ერთ ეპიზოდში წაიფორთხილა, დროის გარკვეული მონაკვეთი 2:19 დათმო და, ცხადია, თამაშიც წააგო.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS

სიენელ ტომას რესს ჩვენებური ვლადიმერ ბოისა აელობა

### A ჯგუფი

**ესტუდიანტესი 81:87 ციბონა**
ესტუდიანტესი: როდრიგესი (22)
ციბონა: ვრანკოვიჩი (19), პიტჩი (19)

**პარტიზანი 85:88 კლიმამიო**
პარტიზანი: ტრიპკოვიჩი (24), ბოგდანოვიჩი (24)
კლიმამიო: ვუიანიჩი (25), დუგლასი (18)

**ეფესი 78:65 პროკომი**
ეფესი: ნიკოლიჩი (24), სოლომონი (17)
პროკომი: ნემეტი (15), იაგოდნიკი (14)

**ოლიმპიაკოსი 75:83 რეალი**
ოლიმპიაკოსი: მეისონი (15), გულიაში (12)
რეალი: ბალოკი (18), ბუენო (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლიმამიო | 11 | 9 | 2 | -79 | 20 |
| ეფესი | 11 | 9 | 2 | 80 | 20 |
| ციბონა | 11 | 7 | 4 | +50 | 18 |
| რეალი | 11 | 7 | 4 | +59 | 18 |
| პროკომი | 11 | 5 | 6 | +48 | 16 |
| ესტუდიანტესი | 11 | 3 | 8 | -27 | 14 |
| პარტიზანი | 11 | 2 | 9 | -56 | 13 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 2 | 9 | 137 | 13 |

### B ჯგუფი

**ვილერბანი 69:73 აეკ**
ვილერბანი: ბეშოქი (22), ლიდეი (12)
აეკ: ბეილი (15), ნიჩევიჩი (13)

**ჟალგირისი 80:81 ბარსელონა**
ჟალგირისი: სალენგა (22), პეკი (20)
ბარსელონა: ნავარო (19), გოდირგოკო (13)

**სიენა 74:70 ოლიმპია**
სიენა: ტორნტონი (15), კიაჩიგი (14)
ოლიმპია: ბოჩევსკი (16), ბოისა (29 წუთი, 13 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**სკავოლინი 97:95 მაკაბი**
სკავოლინი: სმიტი (32), მოტოლა (17)
მაკაბი: იასიკევიჩუსი (25), პარკერი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 11 | 8 | 3 | +123 | 19 |
| ბარსელონა | 11 | 7 | 4 | +32 | 18 |
| სიენა | 11 | 6 | 5 | +62 | 17 |
| აეკ | 11 | 6 | 5 | -5 | 17 |
| სკავოლინი | 11 | 6 | 5 | -56 | 17 |
| ჟალგირისი | 11 | 5 | 6 | -17 | 16 |
| ოლიმპია | 11 | 4 | 7 | -21 | 15 |
| ვილერბანი | 11 | 2 | 9 | -118 | 13 |

### C ჯგუფი

**ბენეტონი 75:63 ტაუ**
ბენეტონი: გორეე (18), სორანა (13)
ტაუ: მასიაუსკასი (19), სკოლა (17 ქულა, 12 მოხსნა)

**უნიკახა 80:71 პო ორტეზი**
უნიკახა: გარბახოსა (25 ქულა, 10 მოხსნა)
პო ორტეზი: ჩატმენი (15), რუპე (14)

**ცსკა 90:77 ულქერი**
ცსკა: ანდერსენი (22), ბრაუნი (14)
ულქერი: ერდოგანი (43), თუნჩერი (15)

**სკაილაინერსი 68:66 პანათინაიკოსი**
სკაილაინერსი: უილამსი (22)
პანათინაიკოსი: ცარცარისი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 11 | 0 | +86 | 22 |
| ულქერი | 11 | 6 | 5 | +44 | 17 |
| ბენეტონი | 11 | 6 | 5 | +43 | 17 |
| პანათინაიკოსი | 11 | 6 | 5 | +34 | 17 |
| ტაუ | 11 | 4 | 7 | -7 | 15 |
| უნიკახა | 11 | 4 | 7 | -18 | 15 |
| სკაილაინერსი | 11 | 4 | 7 | -90 | 15 |
| პო ორტეზი | 11 | 3 | 8 | -92 | 14 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

20 იანვარი

**დალასი 99:77 კლიპერსი**
დალასი: ნოვიცკი (28), ტერი (15)
კლიპერსი: ბრენდი (24 ქულა, 14 მოხსნა), საიმონსი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ორლანდო 99:108 ჰიუსტონი**
ორლანდო: ფრენსისი (28), ჰილი (21), თურქოღლუ (19)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (27), მინგი (20), სურა (19 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), ვესლი (18)

**საკრამენტო 123:96 კლივლენდი**
საკრამენტო: ვებერი (27 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), სტოიაკოვიჩი (19), ბიბი (17 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)
კლივლენდი: ჯეიმსი (18), გუდენი (17)



ჰიუსტონელი ტრეისი მაკგრეიდი ახტა, დახტა და...

# ფედერაციამ დოლარები გამოიწერა

## ჟღენტს 200, დინამოს 1000

**გუშინ** ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც რუსთავის „თუჯის" გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა დააჯარიმეს.

სხდომას თავად „ბრალდებულებიც" ესწრებოდნენ. არჩილ ჟღენტმა საკუთარი ყურით მოისმინა დისციპლინართა განაჩენი — ერთი მატჩის გამოტოვება და ორსადოლარიანი ჯარიმა. შეგახსენებთ, რომ ჟღენტმა თასის პირველი ეტაპის ბოლო ტურში ორი ტექნიკურის გამო მოედანი დატოვა, თუმც მოგვიანებით მსაჯს მივარდა და ვითარების განსამუხტად ხალხის ჩარევა გახდა საჭირო.

„თუჯი" თასის ნახევარფინალში „ავიამშენს" ხვდება და მეტოქის სიძლიერეს თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, წააგებს. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ჟღენტი მაინც გამოტოვებს ეროვნული ჩემპიონატის პირველივე შეხვედრას, რომელიც 27 თებერვალს გაიმართება.

და ერთი სანქციაც: თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე ბოლო მომენტში უარის თქმის გამო თბილისის „დინამო" ათასი დოლარით დააჯარიმდა.



არჩილ ჟღენტი

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

# ანანდმა მოგება გაიხსენა, მოროზევიჩი კი ბოლოზე გაიყინა



**V ტური**

| | |
|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 |
| ლაზარო ბრუზონი (კუბა) — ნაიჯელ შორტი (ინგლისი) | 1:0 |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 |
| ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 |

**ოთხმატჩიანი** მოუგებელი სერიის შემდეგ იმარჯვა სუპერტურნირის ოთხგზის ტრიუმფატორმა, ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა. შავი ფიგურებით მოთამაშე აზიელმა სუპერტურნირის ყველაზე უბადრუკი მონაწილე, რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი დასცა ბეჭებზე, თუმც ამით ცხრილში მაინც ვერ აიწია და კვლავ მე-11 ადგილზეა. საშინლად ასპარეზობს მოროზევიჩი. მას ხუთი პარტიის შემდეგ მხოლოდ 0,5 ქულა აქვს და რა გასაკვირია, ბოლო ადგილს რომ ხეხავს.

პარტია მოროზევიჩმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მესამე სვლაზე კი კუთი გაიჭრა წინ და პაიკებით მიაწვა მეტოქეს. იერიში არც ისე გონივრული გამოვიდა, ამიტომაც ინდუსს მისი მოგერიება არ გასჭირვებია და თან პაიკიც მოიგო. წაგებული შეტევის შემდეგ მოროზევიჩმა ანანდის გამაგრებული ხელმწიფე ამოიღო მიზანში, მთელი უძლიერესი ფიგურები მას დაუმიზნა და მე-18 სვლაზე დაარტყა. ანანდმა საკუთარი არმია მეფის დასაცავად იხმო, თან გზადაგზა ცოტა გაებრძოლა თეთრებს და მხედარიც მოიგო. დიდი ბრძოლა გაიმართა შავი ხელმწიფის გარშემო, სადაც მხედრით დაწინაურებულმა ინდუსმა ადვილად იმარჯვა, რუსს ფიგურები საგრძნობლად შეუთხელა და 41-ე სვლაზე გამარჯვებულმა დაასრულა პარტია.

საინტერესო იყო ძველი და ტრადიციული მეტოქეების — ლეკოსა და კრამნიკის ჯახიც. შეგახსენებთ, რომ ორივე დიდოსტატი თითქმის ყველა სუპერტურნირის სტუმარია და შარშან მათ მსოფლიოს ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩშიც ითამაშეს. შეხვედრა 7:7 დასრულდა, მაგრამ რადგან კრამნიკი კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონად ითვლებოდა, ყაიმით ტიტული შეუნარჩუნეს და ფინალისკენ გზა დაულოცეს.

ლეკო, რა თქმა უნდა, რევანშისთვის იყო მომართული. დებიუტში მან ლაზიერის გამბიტი გაითამაშა, ხელმწიფის ფლანგი საიმედოდ გაამაგრა და მე-8 სვლაზე როქი გააკეთა. მეტოქეს რუსმაც მიჰბაძა, მეფე მანაც გადამალა და ფლანგების გამაგრებას შეუდგა. მოჭადრაკეებმა ფიგურების გაცვლა დაიწყეს, თუმც ხეირიანი და აღსანიშნავი ვერაფერი შექმნეს და 28-ე სვლაზე მორიგი ზავი გამოაცხადეს.

სუპერტურნირზე ყველას აოცებს შარშანდელი B ჯგუფის გამარჯვებული, კუბელი ლაზორო ბრუზონი. დიდოსტატმა, რომლის გამოსვლასაც სპეციალისტთა უმრავლესობა უბრალოდ, ფორმალობად თვლიდა, ყველას დაუმტკიცა, რომ აქ ტყუილად არ არის და ხუთი ტურის შემდეგ ლიდერ ოთხეულშია 3 ქულით.

ტოტალიზატორები 3,5 კოეფიციენტით ფავორიტად ლეკოს მიიჩნევენ და მას კუდში ადამიანიობობა, ინგლისელი მაიკლ ადამსი მოსდევს 4 კუშით.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 3,5 |
| 2 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 3,5 |
| 3 | ვესელინ ტოპოლოვი (ბულგარეთი) | 3,0 |
| 4 | ლაზარო ბრუზონი (კუბა) | 3,0 |
| 5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 3,0 |
| 6 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 3,0 |
| 7 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 2,5 |

# კასპაროვი წყვეტს, ფიდე აგრძელებს

**ორი დღის** წინ რუსმა დიდოსტატმა გარი კასპაროვმა ფიდეს ღია წერილით აცნობა, რომ უარს ამბობს, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩში ეთამაშოს უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს. ამის მიზეზად დიდოსტატმა ფიდეს უმოქმედობა დაასახელა. მან განაცხადა, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ზერელედ ეკიდება ამ საქმეს და საჭირო საპრიზო თანხა ჯერაც ვერ გამონახა.

ფიდემ მეორე დღესვე გააკეთა კომენტარი, საპასუხო წერილი გამოაქვეყნა და კასპაროვს ფინანსური გარანტიები აღუთქვა. წერილში ნათქვამია, რომ უახლოეს ხანში შეუძლებელია ფინანსური გარანტიების შექმნა, როცა მონაწილეები ამხელა თანხას ითხოვენ. ფიდეს ბოლო კონგრესზე, რომელიც შარშან 21-31 ოქტომბერს ესპანეთში გაიმართა, კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩის მასპინძლობის სურვილი თურქეთის ჭადრაკის ფედერაციამ გამოთქვა და არც ფინანსური გარანტიების მიცემაზე დაიხია უკან. როგორც ფიდე აცხადებს, მოლაპარაკებების დროს დიდოსტატები ყოველთვის გარკვეულნი საქმის ვითარებაში და ყველაფერიც იცოდნენ:

ა) 2004 წლის 7 დეკემბერს ფიდემ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას მოსთხოვა, რომ 29 დეკემბრისთვის წარმოედგინა ამ თამაშისთვის საჭირო საპრიზო ფონდის ფინანსური გარანტიები.

ბ) 2005 წლის 3 იანვარს თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, მეჰმედ ალი სახინმა ფიდეს აცნობა, რომ მზად იყო, ამ მატჩისთვის საჭირო ყველა ხარჯი დაეფარა საპრიზო ფონდის მილიონი დოლარის ჩათვლით.

გ) ამის შემდეგ ფიდემ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას მოსთხოვა, 18 იანვრამდე მიეცა საბანკო გარანტიები, 200 ათასი დოლარი თითოეულ დიდოსტატზე და 50 ათასი ფიდესთვის, ხოლო მთელი საპრიზო ფონდი, მილიონ 272 ათასი დოლარი, ფიდეს ანგარიშზე 25 მარტამდე უნდა დამჯდარიყო.

ამ დროისთვის ორივე მოჭადრაკე თანახმა' იყო, რომ ეს მატჩი ეთამაშა სტამბოლში 25 აპრილიდან 14 მაისამდე, რამდენიმე დღის წინ კი თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის ვექილმა სიმალ დერსანმა კასპაროვს შეატყობინა, რომ თანხა 25 იანვრამდე მის ანგარიშზე ვერ დაჯდება. ამის შემდეგ კასპაროვმა ფიდეს ღია წერილით აცნობა, რომ უარს ამბობდა მათთან თანამშრომლობაზე.

„თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფინანსურ გრანტი გვპირდება — ვკითხულობთ ფიდეს საპასუხო წერილში — კასპაროვი პრაღის ხელშეკრულების შემდეგ უკვე ჩვენთან თანამშრომლობდა და იძულებული იყო, პატივი ეცა თავისი მეტოქე კასიმჯანოვისთვის და ასევე დაეფასებინა შრომა, რომელიც თურქეთის მთავრობამ გაწია, ამ მატჩის გასამართად".

ფიდე კი კვლავაც აგრძელებს ამ საქმეზე მუშაობას და ყველა სერიოზულად დაინტერესებულ პირთან აპირებს თანამშრომლობას.

**ლუკა გეგეჭკორი**

# სახალისო ჭადრაკი

## სალაღობო ამბები პირველი ჩემპიონის ცხოვრებიდან

დღეიდან ამ რუბრიკით შემოგთავაზებთ სალაღობო ამბებს, რომლებიც დაკავშირებულია ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონებთან. დღეს გავიხსენებთ პირველ მსოფლიოს ჩემპიონ ვილჰემ სტეინიცთან დაკავშირებულ თავშესაქცევ ამბებს. ამგვარად, მომავალში კიდევ თორმეტჯერ გავხალისდებით და გარი კასპაროვის თავგადასავლებით დავასრულებთ ამ „სალაღობო ამბებს"

ვილჰელმ სტეინიცი ჭადრაკის ისტორიაში არა მხოლოდ მსოფლიოს პირველ ჩემპიონად შევიდა, არამედ მთელი სწავლების ფუძემდებლად, რომელმაც სრულიად შეცვალა ჭადრაკის განვითარების მიმართულება. მისი კონცეფციები თანამედროვე სისტემათა საფუძველია



ვილჰელმ სტეინიცი
*14.05.1836 (პრაღა) – 12.08 1900 (ნიუ იორკი)*

### იღბლიანი ნილისყრა

რომელიღაც ტურნირის დაწყების წინ სტეინიცს ჰკითხეს:

— ვის თვლით ფავორიტად?

სტეინიცმა ყოველგვარი მოკრძალების გარეშე უპასუხა:

— ფავორიტი, ცხადია, მე ვარ. ყველაზე იოლი მეტოქეები ხომ მე შემხვდა. ისინი მსოფლიოს ჩემპიონს უნდა შეხვდნენ, მე კი არა.

### საჭადრაკო ბირჟა

სტეინიცი ვენაში ფულზე ეთამაშებოდა უმდიდრეს ავსტრიელ ბანკირ ეპშტეინს. რომელიღაც სვლაზე სტეინიცი ცოტა დიდხანს დაფიქრდა, რის გამოც ბანკირმა უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა.

სტეინიცმა სვლა გააკეთა. ახლა უკვე ბანკირი დაფიქრდა დიდხანს, თუმცა შეეძლო აღარც ეფიქრა — პარტიის გადამრჩენი აღარ იყო.

— დიდხანს იფიქრებთ? — ხაზგასმული უკმაყოფილებით დაუბრუნა ხურდა ჩემპიონმა.

ბანკირი შეურაცხყოფილი დარჩა: ნუ მიქარავთ და ნუ გავიწყდებათ, ვისთან გაქვთ საქმე?

სტეინიცმა ქედმაღლურადვე უპასუხა: მე არაფერი მავიწყდება, თქვენ ბირჟის ეპშტეინი ხართ, მე კი ჭადრაკის ეპშტეინი.

### დათვური სამსახური

სტეინიცს მაინცდამაინც არ ულხინდა და კაფე „გამბიტში" ხშირად თამაშობდა ფულზე. ერთხელაც მან გადასარევი მოწინააღმდეგე იპოვა. ახალგაზრდა კაცი ყოველ წაგებულ პარტიაში სტეინიცს ერთ გირვანქას უხდიდა. სტეინიცი ფორაში მხედარს აძლევდა და გამუდმებით უგებდა, კარგა ბლომად ფული დასცინცლა.

ერთმა მეგობარმა სტეინიცი განზე გაიხმო და ურჩია: სულ რომ უგებ, მიხვდება, რომ ბრძოლას აზრი აღარ აქვს და შენთან სათამაშოდ აღარ დაჯდება, ამიტომ შიგადაშიგ მოაგებინე. ამით უფრო ჩაითრევ და მეტ ფულს მოუგებო.

სტეინიცს მეგობრის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მომდევნო პარტიაში ლაზიერი განზრახ შეწირა, დამარცხდა და მომდევნო პარტიის სათამაშოდ ფიგურების დალაგება დაიწყო, მაგრამ...

ბედნიერმა მოწინააღმდეგემ, რომელიც ვერ მიხვდა, რომ სტეინიცმა განზრახ მოაგებინა, ღრიალი დაიწყო, მსოფლიოს ჩემპიონს მოვუგეო და ასე ღრიალით გავარდა ქუჩაში. კაფე „გამბიტში" ის აღარ დაბრუნებულა.

### ფეხის ჭადრაკი

ერთხელაც სტეინიცი გვარიანად სუსტ მოყვარულს ეთამაშებოდა, მაგრამ მოყვარულს გვერდით გამოცდილი მოჭადრაკე ეჯდა და ჩუმად კარნახობდა: მოყვარული ფიგურისკენ ხელს რომ წაიღებდა, თუ სწორი სვლა იყო, მეგობარი მაგიდის ქვეშ ფეხს [illegible] არ დააბიჯებდა, [illegible] ფიგურისკენ წაიღებდა ხელს და ასე შემდეგ.

სტეინიცი ეშმაკობას მიუხვდა და მორიგი სვლისას თვითონ დააბიჯა ფეხი მოწინააღმდეგეს. მოყვარულმა სასწრაფოდ სვლა გააკეთა და დაშმათდა.

### ნეკროლოგი

ლასკერთან დამარცხების მერე სტეინიცი სერიოზულად ავად გახდა და რამდენიმე გაზეთმა მისი გარდაცვალებაც გამოაცხადა. დამწუხრებულმა გროსმეისტერმა ტარაშმა მოზრდილი ნეკროლოგიც დაწერა, რომელშიც სტეინიცი აქო და ადიდა.

მაგრამ სტეინიცამდე მისივე გარდაცვალების ამბავმა არ მიაღწია, ამიტომ ამჯობინა გამოჯანმრთელებულიყო.

ამ ამბიდან რამდენიმე ხანში სტეინიცი და ტარაში ვენაში შეხვდნენ ერთმანეთს და ტარაშმა სიამაყით აჩვენა ნეკროლოგი, აი, როგორ გაფასებო. სტეინიცი კმაყოფილი დარჩა.

REUTERS ბარსელონიდან



# ტენორი მონტმელოზე

ბარსელონაში, მონტმელოზე შეკრებილა მეფორმულეთა რამდენიმე გუნდი, რათა ახალი ასფალტი გამოსცადონ. როგორ მოხვდა ამ გაუგებრობაში ტენორი პლასიდო დომინგო, ძნელი სათქმელია. კარგად კი მიიღეს გამომცდელებმა. განსაკუთრებით, მისი ხმის ტრფიალი, რუბენს ბარიკელო შესცინოდა.

# ჩინური სკოლები



ეს პეკინის შიჩაჰაის სატანვარჯიშო სკოლაა, სადაც ნორჩები საინტერნატო წესით ცხოვრობენ და ვარჯიშობენ. ჩინეთში ამგვარი სკოლა 3 ათასი მაინც იქნება და მიუხედავად მკაცრი და მძიმე ვარჯიშების სტილისა, უამრავ მშობელს მიჰყავს თავისი შვილი იქ. მიზეზი ერთია, ოლიმპიური იმედი და ელიტაში მოხვედრა. ასე რომ, კონკურენცია ცეროდენობიდან იწყება. ეს სულ სახელმწიფო სკოლებია, პეკინი კი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელია.

REUTERS ზაგრებიდან



# სლიემეს წესრიგი

ზაგრები ელის მსოფლიო თასს. სლიემეს მთა, ხორვატიის დედაქალაქის ახლოს ჯერჯერობით ჯარისკაცთა ხელშია. თოვლის ბილიკებიც და საერთოდაც ყველაფერი ჯარისკაცთა ხელშია. ქალთა სლალომის მსოფლიო თასი პირველი დიდი შეჯიბრებაა, რომელიც ხორვატიას ანდეს და თანაც ხორვატიას ჰყავს მთის დედოფალი, იანიცა კოსტელიჩი.

REUTERS ლონდონიდან



# სხვა ლონდონში

ამერიკის კვალად, გახურდა კანადის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ონტარიოს ქალაქ ლონდონის ყინულზე ქალთა პროგრამაში მოხდენილად გამოიყურება ამანდა ბილინგზი. ფოტო კი მოხდენილია, მაგრამ გოგო მხოლოდ მეექვსე ადგილზეა ამ პროგრამის შემდეგ.

# ბრაზერზ ნილსონ

გრძელდება სერფობა ოქროს ნაპირზე, ავსტრალიაში. ამჯერად „ბრაზერზ ნილსონ პროჯუნიორი“ გახურებულა, ბიჭების ხუთვარსკვლავიანი შეჯიბრი, პრიზად რომ 10 ათასი დოლარი აქვს და ყმაწვილთა საუკეთესო შეჯიბრად ითვლება. ეს ბიჭი კი, ჯერარდ ბელი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კობორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაიელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge